



ალექსანდრე

ანპილოგოვი

ALEXANDER ANPILOGOV

გიორგი როჩიშვილი



ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
გიორგი ჩოჩიშვილი

TEXT
Giorgi Chochishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი, მიხეილ ზარგარიანი,
ვიტალი საველიევი, ვლადიმირ ფედორენკო, www.sportphoto.ge


PHOTO
**Aleksandre Kotorashvili, Mikhail Zargaryan, Vitaliy Saveliev,
Vladimir Fedorenko, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ხელბურთის ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Handball Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-4157-0

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



ალექსანდრე ანპილოვოვი

2012

ძველ სპორტის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ: ყოველი წლის დეკემბერში თბილისის სპორტის სასახლე ერთი კვირით მსოფლიო ხელბურთის მექად იქცეოდა. „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე საასპარეზოდ ჩამოდიოდნენ საუკეთესო ნაკრები გუნდები. სავსე ტრიბუნები ისევე გუგუნებდა, როგორც, ვთქვათ, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის არმიელთა საკალათბურთო მატჩის დროს. ეროვნულ ნაკრებებს შორის მოქცეული თბილისის „ბურევესტნიკი“ — ჩვენი იმდროინდელი არაოფიციალური ეროვნული ნაკრები — ცხადია, ტურნირზე დიდ ტიტულებს ვერ იხვეჭდა, მაგრამ ლამაზი, მართლაც კოლორიტული თამაშით გულშემატკივრებსაც ხიბლავდა და ხანდახან მეტოქეებსაც აოცებდა.

ამ დიდი და პოპულარული ტურნირის კიდევ ერთი, დაუვიწყარი სურათი: მეტოქეთა ხელების ტყე და ამ ჯებირის წინ მალლა, თითქოს სხვა სივრცეში ამხტარი ტანმალაღალი ალექსანდრე ანპილოგოვი, ნაცადი მარჯვენის ელვისებური რკალი და უეჭველი გოლი — უეჭველი ყოველთვის, ყველა ვითარებაში...

როცა საქართველოს ყველაზე სახელოვანი სპორტსმენების, მათი მიღწევების ჩამოთვლას ვინცებთ, ალექსანდრე ანპილოგოვი ყოველთვის არ გვახსენდება. ეს ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ უძლიერეების საზომად პირად პირველობებში მოპოვებულ გამარჯვებებს ვგულისხმობთ, მაგალითად, ჭიდაობაში, მძლეოსნობაში. ხელბურთელი ანპილოგოვი კი მსოფლიოს უდიდეს შეჯიბრებებში, ბუნებრივია, თანაგუნდელებთან ერთად იხვეჭდა დიდ წარმატებებს, თანაც იმ დროს, როცა ნაკრებ გუნდში დანარჩენ ვაკანსიებს მოსკოველი, უკრაინელი, ლიტველი თუ ბელორუსი მოთამაშეები ავსებდნენ. ცალკე კიდევ იყო მისი გუნდი – თბილისის „ბურევესტნიკი“, რომლის ერთგული დარჩა დიდი მოთამაშის კარიერის ბოლომდე და რომლის მიღწევებში უზარმაზარი წვლილი შეჰქონდა — ისეთი, საბჭოთა კავშირის კი არა, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სტატისტიკას გაახუნებდა სპორტის ამ სახეობაში. ამისთვის სრულიად საკმარისია წიგნში მოტანილი დოსიე იხილოთ, თუმცა, ამ მშრალი სტატისტიკის გარდა, არის კიდევ სხვა მიღწევები, რომლის შესახებ ასევე აუცილებელია ლაპარაკი, თუ გვინდა მივიღოთ ობიექტური სურათი ალექსანდრე ანპილოგოვის სპორტული ბიოგრაფიის შესახებ.

70-იანი წლებიდან, უფრო კი მისი მეორე ნახევრიდან, სსრ კავშირი ხელბურთში მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად ითვლებოდა. თუ რატომ ვერ აისახებოდა ეს ძლიერება ადეკვატურად მსოფლიო სტატისტიკაში, ესეც საბჭოთა პირობების ბრალია — ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ამ დიდი სახელმწიფოს ჩემპიონატშიც, რომელშიც ლამის მთელი აღმოსავლეთი ევროპა იყო წარმოდგენილი, საკლუბო საზომით მსოფლიო კლასის გუნდები მონაწილეობდნენ: მოსკოვის „მაი“, „კუნცევი“, „ცსკა“, ზაპოროჟიის „ზმეტი“, მინსკის „დინამო“, კაუნასის „გრანიტასი“, ჩელიაბინსკის „პოლიოტი“... ამ ცნობილი გუნდებისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ შეხვედრების დროს, ყველაზე ხშირად, რასაც დარბაზში გაიგონებდით, იყო მოწოდება, მუდარა, ბრძანება, ისტერია — დაიჭირეთ ანპილოგოვი!!! ამას ცდილობდნენ ორი ან სამი პერსონალური მეურვეთ, რადგან ერთი არ ჰყოფნიდათ, ხშირად მთელი გუნდითაც. ხოლო როცა ცხრამეტრიან საჯარიმოზე მიდგებოდა საქმე, ამას მეტოქეთა მწვრთნელების იმედგაცრუებული ოხვრა ან შეკურთხება მოჰყვებოდა ხოლმე. ანპილოგოვის „დაჭერა“, მის საუკეთესო წლებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, ხოლო ის, თუ როგორ ასრულებდა იმ ცხრამეტრიანებს, არ ვაჭარბებთ, შეიძლება სასწაულს შევადაროთ. წარმოიდგინეთ ტყორცნისთვის გამზადებული მოთამაშე, რომელსაც ახტომის უფლება არა აქვს და მეტოქეთა ხელების ტყე მის პირისპირ, იმის იქით კი საგულდაგულოდ მომზადებული მეკარე... მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელებს მთელი კარიერის მანძილზე სულ რამდენიმე ცხრამეტრიანი საჯარიმო თუ ექნებათ გამოყენებული, ალექსანდრე ანპილოგოვი კი ამას ერთ ტურში ახერხებდა, კარიერის მანძილზე კი ორასამდე ასეთი ბურთი აქვს გატანილი, რასაც ვერც ერთი გინესი ვერ უარყოფს. ამ იშვიათი გოლებით თბილისის „ბურევესტნიკის“ ლიდერს თავისი გუნდი არაერთხელ გადაურჩენია მატჩის მიწურულს, როცა სათამაშო დრო აღარ დარჩენილა.

რადგან რეკორდებზე მიდგა საქმე, აქვე რამდენიმე, თითქმის დაუჯერებელ მონაცემსაც შემოგთავაზებთ: როცა ჩვენმა „ბურევესტნიკმა“ კაუნასში ადგილობრივი „გრანიტასი“ დაამარცხა — 33:31, ამ 33 ბურთიდან 30 (!) მისი ლიდერის ანგარიშზე იყო; საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ თამაშში კი, რომელიც ჩვენმა გუნდმა 21:22 დათმო, ანპილოგოვმა გაიტანა ყველა ბურთი, ერთის გარდა, ანუ ოცი გოლი (!). და ეს ხდებოდა არა ეზოს



გუნდების, არამედ უმაღლესი ლიგის მატჩებში და, კიდევ ვიმეორებ, იმდენად ხშირად, რომ მისმა მონაგარმა სპორტული კარიერის მანძილზე 7 ათას გოლს გადააჭარბა.

დიდი მოთამაშეების გზა სპორტში ერთმანეთს ჰგავს და არცა ჰგავს. ზოგს ბავშვობაშივე, კოჭებში ეტყობა ყველაფერი. მათ ნიჭს ყველა ხედავს. თუმცა ბევრი სხვა მხოლოდ თავისი ხასიათიდან გამოძერწავს ხოლმე დიდ სპორტსმენს, როცა საამისოდ თითქოს სხვა არაფერი უწყობდათ ხელს. ეს პირდაპირ შეიძლება ითქვას ალექსანდრე ანპილოგოვზე... ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ბიჭობის თბილისური „სკოლა“ ჰქონდა გავლილი. არავის არაფერში ჩამორჩებოდა, მაშინაც კი, როცა უკვე ცნობილი სპორტსმენი ერქვა — არც ყმანვილურ ცელქობაში და არც მოზრდილთა ჩხუბში. ეს ალბათ არც არის საინტერესო, ასეთ ბიჭებს რა გამოლევს. უფრო საყურადღებო ის უნდა იყოს, როგორ გადაიქცა ეს ჩვეულებრივი ბიჭი დიდ სპორტსმენად.

„თბილისში, ნავთლულის რაიონში დავიბადე, იმ ოჯახში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში შეიქმნა, უფრო ზუსტად, ჰოსპიტალში, სადაც დედაჩემმა სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა ერთიანად დაჭრილი სასაზღვრო ჯარების ლეიტენანტი სემიონ ანპილოგოვი. მისი მზრუნველობით ის სასიკვდილოთა პალატიდან ორი თვის შემდეგ მძიმედ დაჭრილთა განყოფილებაში გადაიყვანეს, დროთა განმავლობაში კი უკვე გამოჯანმრთელების გზაზე დამდგართა პალატაში იწვა. როგორც კი წამოდგომა შეძლო, საავადმყოფოს ხალათში გამონყობილმა კატერინას ხელი სთხოვა მამამისს. ასე შეიქმნა ნავთლულში ანპილოგოვების ოჯახი. მამაჩემი საკუთარ თავს ინვალიდად არ თვლიდა, მეთუნუქეობა ისწავლა და მთელი თავისი ცხოვრებით დიდი პატივისცემა დაიმსახურა სამუშაოზეც და მეზობლებშიც. მხიარული, ენერგიული მამა ჩემი კერპი იყო. ყველაფერი იცოდა და მშვენიერი მთხრობელიც გახლდათ. მხოლოდ ომის შესახებ დასმულ შეკითხვებზე არ მპასუხობდა — გაიზრდები და მერეო. აბანოში სულ მის ნაჭრილობებებს ვუცქერდი მკერდზე. ისეთი სიფრიფანა იყო, აშკარად ჩანდა, როგორ ფეთქავდა გული... მისი ცხოვრებისეული დევიზი იყო: არ იკითხო, რა მოგცა სამშობლომ. საკუთარ თავს ჰკითხე, რა გააკეთე სამშობლოსთვის. მისი დევიზი ჩემი დევიზი გახდა. ღირსების გრძნობა, სიამაყე ანპილოგოვის გვარის გამო მე მისგან გადმოვიღე. ნავთლული მუშათა რაიონია და ოჯახში წესად



გვექონდა: თვეში ორჯერ – თეატრი, ოპერა ან კონცერტი. რა თქმა უნდა, იყო რადიო, გაზეთები, ტელევიზორი... შემდეგ კი ნანახის, მოსმენილის, წაკითხულის ერთობლივად განხილვას ვინწყებდით. დედამ მასწავლა მოთმინება და, რაც მთავარია, ჩამინერგა რწმენა: თუ ძალიან მოინდომებ, მთებს გადააბრუნებო...”

ვინც ალექსანდრე ანპილოგოვის პირველ ნაბიჯებს იხსენებს სპორტში, იმდენად მსგავს ვითარებას გვიხატავს, რომ ძნელია ზედმიწევნით არ ირწმუნო მათი ნაამბობი. ეს უფრო ანპილოგოვის მწვრთნელებს ეხება, რადგან სპეციალისტის თვალი ყველაზე უკეთ ამჩნევს ყველა წვრილმანს, კარგსაც და ცუდსაც... პატარა საშა ჯერ მოსწავლეთა გუნდში ვარჯიშობდა გარი მაჭავარიანთან, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკში“ — ჯანო ბაგრატიონთან, შემდეგ — იმედო ფხაკაძესთან და ისევ მაჭავარიანთან. სამივე ცნობილი სპეციალისტია. „ბურევესტნიკის“ აღიარებული ლიდერიც მათ თვალწინ და მათივე ხელშეწყობით დაოსტატდა. ამიტომ ამ მწვრთნელთა ნაამბობი, ბუნებრივია, სამი ავტორის მიერ ერთობლივად დაწერილ ბიოგრაფიას ჰგავს, თუმცა თითოეული მათგანი ხაზგასმით გამოყოფს ალექსანდრე ანპილოგოვის ხასიათის ცალკეულ შტრიხებს და, ცხადია, მეხსიერებას შემორჩენილი საკუთარი შთაბეჭდილებებით აღადგენს იმ ძნელ გზას, რომელმაც ერთ ჩვეულებრივ ბიჭს საქართველოს სპორტული მიღწევების ნუსხაში საპატიო ადგილი დაუმიკვიდრა.

* * *

მოკლედ ისტორიის დასაწყისი: ხელბურთის მოედანზე სავარჯიშოდ გა-
მოვიდა საოცრად გამხდარი, აწონილი ბიჭი — ალექსანდრე ანპილოგოვი.

„სპორტში რომ აღმოვჩნდი, ამაში ჩემი და რაიაა „დამნაშავე“. ავადმყოფი ბავშვი ვიყავი, სასწავლო წლის ორ მეოთხედს ვაცდენდი. შინ ვმეცადინეობდი და მერე ყველა საგანს ექსტერნად ვაბარებდი. ისე, კარგად ვსწავლობდი, მეტი რაღა დამრჩენოდა... ექიმებმა დისტროფიის დიაგნოზი დამის-
ვეს: 190 სანტიმეტრი ვიყავი და სულ 43 კილოგრამს ვინონიდი („სპორტ-ექსპრესისტვის“ მიცემულ ადრინდელ ინტერვიუში ანპილოგოვი საკვირველ შემთხვევას იხსენებს: “მშობლებმა მოსაფერიანებლად პაპასთან, სოფელში

გამგზავნეს. როცა დაგბრუნდი, აეროპორტში დედამ გვერდზე ჩამიარა – ვერ მიცნო. ორ თვეში 28 სანტიმეტრით გავიზარდე!“ – ავტ.). ბუნებრივია, ფიზიკულტურის გაკვეთილებს ახლოსაც არ მაკარებდნენ.

ჩემი და რაია ჩემზე ცხრა წლით უფროსია. მაშინ რუსეთის ხელბურთელთა ნაკრებში თამაშობდა. ერთხელ სანვრთნელი შეკრებიდან ჩამოვიდა და თან ხელბურთის ბურთი ჩამოიტანა. დილით წავარჯიშება გადაწყვიტა. ეზოში კარი მონიშნა და ამ იმპროვიზებულ კარში მე ჩამაყენა. ბურთი მესროლა — ტყორცნა, იცოცხლეთ, კარგი ჰქონდა. მეორე ცდაზე პირდაპირ შუბლში მომარტყა. ძირს დავეცი. შეშინებული რაია მოსასულიერებლად მეცა — ხუმრობა საქმეა, კინალამ გამათავა. საშინლად გავბრაზდი: ბოლოს და ბოლოს, ვინ არის სახლში კაცი?! ავადმყოფი ბავშვი ვიყავი, მაგრამ თავმოყვარე. უნდა დამემტკიცებინა, რომ არავისზე ნაკლები არ ვარ. მაშინ ჩემმა დამ გადაწყვიტა ვევარჯიშებინე. დილაობით მალვიძებდა და ერთად ვვარჯიშობდით. ის ადვილად ახერხებდა 50 ჩაბუქვნას, მე კი შვიდზე მეტს — ვერა. მაშინ ჩემს თავს პირობა მივეცი: რაც შეიძლება მეტჯერ ჩავბუქნავ და ყოველდღე გავზრდი დატვირთვას! ნელ-ნელა ორასამდე ავედი. შემდეგ ფიზიკულტურის გაკვეთილზე დასწრება ვითხოვე, მინდოდა ბავშვებთან ერთად მევარჯიშა. მასწავლებელი სასტიკ უარზე დადგა – შენ ცნობა გაქვს, ფიზიკულტურის გაკვეთილებიდან გათავისუფლებული ხარ, ამდენს ვერ ირბენო. მეც ავდექი და ზედიზედ 200 ბუქნი გავაკეთე. სხვა რა გზა ჰქონდა, შემიშვა მოედანზე...

მოგვიანებით სკოლაში ხელბურთის გუნდი ჩამოვყალიბე. საბედნიეროდ, ჩემმა დამ სახლში ბურთი დამიტოვა — სწორედ ის, თავში რომ მომარტყა. ვანყობლით სასკოლო ჩემპიონატს, ვმონაწილეობდით რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში. შემდეგ მეგობრებთან ერთად წავედი სპორტულ სექციაში ჩასაწერად. ისინი მიიღეს, მე — არა. ჩათვალეს, რომ ძალიან სუსტი ვიყავი. ვზივარ ტრიბუნაზე და ცრემლები ლაპალუპით ჩამომდის. მწვრთნელმა გარი მაჭავარიანმა ჩემს საცოდაობას ველარ გაუძლო: „ჯანდაბას, ჩამსვან ციხეში, მოდი შემდეგ ვარჯიშზეო“. მაშინ უკვე 196 სანტიმეტრი სიმაღლის ვიყავი და 46 კილოგრამს ვინონიდი. ბიჭები „დისტროფიკს“ მეძახდნენ, მაგრამ გარი მაჭავარიანმა და ჯანო ბაგრატიონმა, არ ვიცი როგორ, ალბათ რალაც წინათგრძნობით, ჩემში, წინილასავით მოზარდში, გა-

მოიცნეს თავისი ნამდვილი მოწაფე და დაწყებული საქმე იმით დაამთავრეს, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გამხადეს.

ჯანსუღ ირაკლიჩმა მე და ჩემი მშობლები დაგვარწმუნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავაგრძელებდი სწავლას. მაშინ უკვე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ჩამრიცხეს, რა თქმა უნდა, სათადარიგო მოთამაშედ. 1970 წელს პირველად გავემგზავრე შეჯიბრებაზე ლიტვაში. ეს იყო საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა პირველობა. გავემგზავრეთ და გაგიგონია, — მოვიგეთ! მთელი ტურნირის მანძილზე მე სულ სამწუნთნახევარი დავყავი მოედანზე, ერთი ბურთი გავიტანე და ერთი პენალტი გავაფუჭე. კარგად მესმოდა, რომ ეს ოქროს მედალი ჩემთვის ავანსიც კი არ იყო, მაგრამ „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდში მაინც ჩამრიცხეს. ვარჯიშით კი ვვარჯიშობდი, მაგრამ ჩემი მაშინდელი სისუსტის გამო არაფერი გამომდიოდა. მშვენიერი ნახტომი მქონდა, სწრაფად დავრბოდი, მაგრამ ტყორცნა არ მივარგოდა, ძალა და ღონე არ მქონდა. რამდენჯერ გამიგონია მწვრთნელისგან: ყველანი საშხაპებში, ანპილოგოვი კიბეებზე! სირბილი, სირბილი, სირბილი... არაქათგამოცლილი ვბრუნდებოდი შინ... სამი წლის მანძილზე, როგორც ზედმეტ ბარგს, ისე დამატარებდნენ. მე ხომ მხოლოდ ის შემეძლო, რომ გუნდის ბურთები მეთრია და სათადარიგოთა სკამზე ვმჯდარიყავი...”

გარი მაჭავარიანი: „როცა ტონოში (თბილისის სახალხო განათლების განყოფილება – ავტ.) ვმუშაობდი, მაშინდელ კიროვის ბაღში ქალაქის მოსწავლეთა პირველობას ვატარებდი რაიონულ შეჯიბრებებში გამარჯვებულ სკოლებს შორის. საშა თავის გუნდს მოჰყვა დასთან ერთად, რომელიც როსტოვი თამაშობდა ხელბურთს. სწორედ იქ შევამჩნიე და დაველაპარაკე — თვითონ მას და მის დასაც. შევეთანხმდით — ჩვენთან დაიწყებდა ვარჯიშს. მაშინ ისეთი იყო, სული რომ შეგებერათ, წაიქცეოდა. ერთწლიანი ვარჯიშის შემდეგ, ლიტვაში საბჭოთა კავშირის პირველობა რომ მოვიგეთ მოსწავლეთა შორის, მართალი გითხრათ, საშა არ იყო გუნდში შესაყვანი, მაგრამ მისი მონაცემების გამო ჩავრიცხეთ: ძალიან მონდომებული და ყინიანი აღმოჩნდა. ის მცირე ოქროს მედალიც დიდი სტიმული იყო მისთვის...”

მაგრამ საშა რის საშა იქნებოდა, საერთოდ რომ „დაკარგულიყო“ თამაშში: როგორც გუნდის მეკარე ჯემალ ბარამიძე იხსენებს, ერთხელ მას,



სსრ კავშირის ნაკრებში
ალექსანდრე ანპილოვო-
ვი ათი წლის განმავლო-
ბაში თამაშობდა და იქი-
დან, რომ იტყვიან, ტი-
ტულეებით დახუნძლული
წამოვიდა: ოლიმპიადის
ოქრო, ვერცხლი, ორჯერ
მსოფლიო ჩემპიონობა,
სამი მსოფლიო სუპერ
თასი, მრავალი პრიზი...

ასე სუსტსა და ახალბედს, მაინც მიანდეს შვიდმეტრიანი საჯარიმოს დარტყმა. დატრიალდა და რალაც უცნაურად მოიქნია ბურთი. მერე, როცა ამაზე ჰკითხეს, უპასუხა: მე მხოლოდ ასე შემიძლია სროლაო.

მაშინ ქართულად ჯერ ვერ ლაპარაკობდა — კარგად არ იცოდა და ერიდებოდა. ისედაც მორცხვი იყო. გუნდში კი მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. მერე ისწავლა, თანდათანობით, თანაც... „დათა თუთაშხიას“ დახმარებით. ერთხელ ის რომანი აიღო და... „ასოები ვიცოდი, ნაკითხულის აზრს კი ბიჭები მეუბნებოდნენ. სამთვიანი შეკრების შემდეგ უკვე ქართულად დავინწყე ლაპარაკი,“ — იხსენებს თავის „გუნდურ განათლებას“ ოლიმპიური ჩემპიონი.

გარი მაჭავარიანი: „სამას მერე, მოგვიანებითაც სჭირდებოდა ყურადღება, მაგრამ უკვე სასკოლო ასაკის აღარ იყო. ამიტომ ჯანო ბაგრატიონმა წაიყვანა თავისთან. სხვა გზა არ ჩანდა: იმ დროს სკოლების ნაკრებსა და „ბურევესტნიკს“ შორის სხვა, ასე ვთქვათ, შუალედური გუნდი არ გვყავდა. სამას ფეხზე დასაყენებლად დიდი, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი შრომა გახდა საჭირო. თავისი ჟინი და სითამამეც ძალიან გამოადგა. მის დიდ სპორტსმენად ჩამოყალიბებაში ჯანოს უზარმაზარი წვლილი მიუძღვის, პირდაპირ გადაჰყვა კაცი...“

ჯანო ბაგრატიონი: „პირველად საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ვნახე. ძალიან გამხდარი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ ვიფიქრე, ამისგან ხელბურთელი დადგება-მეთქი. მაინც რით მომხიბლა? მაშინ საბჭოთა ნაკრებში ტანმალალი ბიჭების მოძალეა იყო. უფროს მწვრთნელს ანატოლი ევტუშენკოს სწორედ ტანმალალ, ფიზიკურად ძლიერ ხელბურთელებზე ჰქონდა აქცენტი გადატანილი — უკანა ხაზზე, წინა ხაზზე და თვით ხაზზეც კი... სამას მაშინვე შევატყვე, რომ სალი გონება ჰქონდა, კარგად აზროვნებდა მოედანზე. გარი მაჭავარიანმა მითხრა, რად გინდა, ჯერჯერობით სუსტია და არაფერი გამოგივაო. არაფერი, ჭკუაზე მოვიყვან-მეთქი და ჩემთან წავიყვანე. მართლაც ძალიან სუსტი იყო, თავიდან ხელებით იატაკიდან სამჯერ ვერ აიზიდა...“

მომზადება დავიწყეთ. დამჯერი და შრომისმოყვარე გამოდგა. თან ასეთი პატივი ერგო: დიდ გუნდში — „ბურევესტნიკში“ მოხვდა. მაშინ ჩათვალა (და სწორადაც), რომ მისთვის ეს ჯერ ავანსი იყო. თავიდან რომ თვალსა და

ხელს შუა ტყდებოდა, მერე შევატყვე, წელი და ფეხები გაუმაგრდა. ნელ-ნელა დატვირთვას ვუმატებდი: ყოველი ვარჯიშის შემდეგ ბუქნები და აზიდვა აუცილებელი იყო მისთვის. სპორტის სასახლის კიბეები უთვალავჯერ ჰქონდა გადათვლილი. მერე შეკრებებზე კროსები, სიმძიმეების აწევა, ქვების სროლა... იმ დროს კიროვის პარკის დირექტორი იყო მიშა ბერიევი, ძველი მოკრივე. კარგად ხედავდა, რა დღეში მყავდა მონაფე. ერთხელ ვერ მოითმინა, ვარჯიშის შემდეგ გამიყვანა და მითხრა: ალაღად გირჩევ, თავი გაანებო. არ გეშინია, რომ ხელში შემოგაკვდესო? ძალიან კარგი ხელბურთელი დადგება, — კიდევ ერთხელ გავიმეორე დარწმუნებით. ნელ-ნელა საშა ისე მომძლავრდა, რომ ჩვენს შესანიშნავ მეკარეებს — ალექსანდრე ხუციშვილს და ჯემალ აბაიშვილსაც უჭირდათ მისი დარტყმების მოგერიება.

ტაქტიკის თვალსაზრისით კი არავითარი პრობლემა არ იყო — ძალიან ჭკვიანი ბიჭი გახლდათ. ესეც მნიშვნელოვან არგუმენტად ითვლებოდა ანპილოგოვის სასარგებლოდ, თორემ ევტუშენკოს საკავშირო ნაკრებში ტანმალალი მოთამაშეები სხვებიც ჰყავდა...“

იმედო ფხაკაძე: „გუნდში რომ მოვიდა, სიმალის გარდა არაფერი მომწონებია. წარმოიდგინეთ ასანთის ფეხებზე მდგარი ადამიანი, რომელიც ძლივს მოძრაობს. ზოგმა ისიც კი იფიქრა, მშობლებმა სპორტში იმიტომ მოიყვანეს, რომ ჯანმრთელობა გაეუმჯობესებინა და არა დიდი სპორტსმენი დამდგარიყო.“

თავიდან არც მე მჯეროდა მისი. მოთამაშის არაფერი ჰქონდა. იმან უშველა, რომ ჩვენს გვერდით იყო. მონდომება რომ შევატყვე, მერე დავინწყე რჩევების მიცემა. პირველი ამოცანა მისი ჯანზე მოყვანა იყო.

მოგვიანებით, ზაგრების „მედვეშჩაკთან“ რომ წავაგეთ ევროპის ჩემპიონთა თასზე, იმათი მოთამაშე ჟაკ მესტამი ვნახე პირველად. ზუსტად ანპილოგოვის აღნაგობის იყო, ცენტრში თამაშობდა. ორი წლის შემდეგ შევხვდი და ველარ ვიცანი — დიდი მხრებით უფრო ძალოსანს ჰგავდა. ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი და ამიხსნეს: მესტამი რომელიღაც გერმანულ კლუბში გადასულიყო და იქ ადგილობრივ სპეციალისტს ემუშავა მის მომზადებაზე.

იმ წუთშივე გავიფიქრე: ანპილოგოვი ასეთი უნდა გავხადო-მეთქი. მისთვის ცალკე პროგრამა არ შემიდგენია, მაგრამ კონკრეტული მიზანი დავისახე. გამაჯანსაღებელ შეკრებას რომ ეძახიან და უფრო გასართობი

ხასიათისაა... ანპილოგოვი ერთი დღითაც არ დამისვენებია... მაგრამ 1977 წელს, როცა მე თბილისის „ბურევესტნიკის“ უფროსი მწვრთნელის პოსტი დავტოვე, ალექსანდრე ანპილოგოვი დიდ მოთამაშედ მაინც არ ითვლებოდა. ერთი დარტყმა ჰქონდა დაყენებული. უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო, მაგრამ გუნდისთვის მხოლოდ ოლიმპიადის შემდეგ გახდა რეალური ძალა. თვით 1977 წლის საკავშირო ჩემპიონატშიც, როცა ბრინჯაოს მედლები ავიღეთ, დიდად არ დაგვხმარებია. მას დრო სჭირდებოდა. ხომ ვთქვი, თავიდან მისი ვარჯიში ავადმყოფი მოწაფის მეცადინეობას ჰგავდა სასკოლო ფიზკულტურის გაკვეთილებზე, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. 22 წლისა გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ხელბურთი კი ძალისმიერი თამაშია. დიდი ხელბურთი, ჩემი საზომით, სპორტსმენებისთვის 23-24 წლის ასაკიდან იწყება. 1958 წელს რომ ხელბურთი დაიწყეს ფარჩომ (თამაზ ანთაძე – ავტ.), ჯანომ, ექსეულიძემ, კოპალეიშვილმა, გარიმ... ეს ჯერ არ იყო ნამდვილი ხელბურთი. ოთხი-ხუთი წელი რომ ითამაშეს, მერე გამოჩნდა მათი კლასი. მანამდე კალათბურთში მეცადინეობა ხელბურთში ფიზიკურ მომზადებად ვერ ჩაეთვლებოდათ... ანპილოგოვმაც გუნდიდან ჩემი წასვლის შემდეგ, ანუ 23 წლიდან მოუმატა და მოუმატა. საოცარი წინსვლა ჰქონდა...”

გამოცდილი მწვრთნელის ნათქვამს დავამატებთ: ერთხელ, როცა ხელბურთის რამდენიმე გამოჩენილ სპეციალისტს ერთადერთი კითხვა დაუსვეს — როგორ მოექცეოდნენ მოთამაშეს, რომელსაც შესანიშნავი ტექნიკა და ტყორცნა აქვს და ასეთივე აზროვნება, მაგრამ მოედანზე ძალისმიერ ორთაბრძოლებში არ მონაწილეობსო, ყველამ ერთხმად უპასუხა: ასეთ ხელბურთელს უყოყმანოდ გავაძევებთ გუნდიდანო.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „სპორტის სასახლეში ვვარჯიშობდით. უკვე გითხარით, ნახტომი კარგი მქონდა – ადგილიდან მეტრზე უფრო მაღლა ვხტებოდი, თავით კალათბურთის რგოლს ვწვდებოდი. კარგა ხნის წინ ჰქონდათ დაწყებული ჩემზე ნადირობა კალათბურთის მწვრთნელებს – ყველა პარამეტრით მათ უეჭველად გამოვადგებოდი. ერთხელ შემთხვევით მოვისმინე მათი საუბარი ჩვენს მეორე მწვრთნელთან ანზორ ლელაშვილთან. ისინი ფიქრობდნენ, რომ გავეცვალე ორ ტანდაბალ კალათბურთელზე. ძალიან მეწყინა – მე, რა, რალაც ნივთი ვარ, რომ ჩემი თანხმობის გარეშე ვილაცებზე გამცვალონ?!

ბიძაშვილთან წავედი და ყველაფერი ვუამბე. ის ჩემზე ცოტა უფროსი და კარგი სპორტსმენი იყო – საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი კრივში. მომისმინა და მითხრა: მიაფურთხე ყველაფერს, წამოდი ჩემთან, ივარჯიშებ და კაცი გახდებიო. ზღვაზე წავედით – მადლობა ღმერთს, მშობლებმა საჭირო სახსრები გამონახეს და ჩვენ 35 დღე გავატარეთ პლაჟზე. ვითომ დასასვენებლად ვიყავი, მაგრამ მე იქ დასვენება არ მლირსებია. ბიძაშვილი სიქას მაცლიდა, სულ რაღაც გარბენებსა და კროსებს იგონებდა. და კიდევ, მაიძულებდა ქვები მესროლა ზღვაში. ყველა ქვა, რაც პლაჟზე იყო, ალბათ მე მოვისროლე ზღვაში.

ზღვაზე „დასვენების“ შემდეგ უგუნებოდ მივდიოდი პირველ ვარჯიშზე. ფიქრი მანვალეზა, როგორ გამცვლიდნენ ორ კალათბურთელში. ვარჯიში ისევ სპორტის სასახლეში იყო. ბიჭები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ გოგი ბერიშვილსა და ალექსანდრე ხუციშვილს, რომლებიც სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნდნენ. მე კი ბურთი ავიღე, მოედანზე გავედი და ათი მეტრის მანძილიდან კარში ვტყორცნე... ბურთი შუაგულ კარში შევარდა და არა კუთხეში, როგორც მინდოდა. გაბრაზებულმა ისევ ვტყორცნე – ისევ ძველი გამეორდა. მესამე ცდაზე ზუსტად კუთხეში დავარტყი... უცებ ვგრძნობ, რომ დარბაზში რაღაც შეიცვალა. სიჩუმე ჩამოვარდა. ლელაშვილი ბურთს მანვდის და მეუბნება: „ისროლე!“

ისევ სროლა და იგი აღტაცებულია: „რამდენს გელოდით... ბოლოს და ბოლოს, შენი ტყორცნა იპოვე!“

მთავარი მწვრთნელმა იმედო ფხაკაძემ ცვლილება უცებ შენიშნა, ხოლო მოგვიანებით, როცა ჩემი ხასიათი გაიგო, კიდე ერთხელ შემეხო თავმოყვარეობის სიმეზზე. მაშინ თითქოს უკვე აგროვებდნენ მოთამაშეებს ოლიმპიური ნაკრებისთვის. ხელბურთელებს ერთი საერთო ტური გვქონდა. შეიკრიბა ყველა გუნდი და თითოეული მწვრთნელი წარადგენდა მისი აზრით საუკეთესო კანდიდატებს. ჩემმა მწვრთნელმა მე დამასახელა. დარბაზი სიცილით მოკვდა — 205 სანტიმეტრი ვიყავი. ასეთები მაშინ ხელბურთში თითქმის არ იყვნენ. და, საერთოდაც, ჩათვალეს, რომ ჩემთვის „იქ“ თამაში ნაადრევია.

მწვრთნელმა მკითხა: „გინდა სხვანაირად იყოს? მაშინ დავამტკიცოთ, რომ ღირსეული ხარ!“ მინდოდა, აბა რა, ყველაზე ცუდი ხომ ის არის, რო-

ცა მასხრად გიგდებენ. მოკლედ, ფხაკაძესთან კატორლაში მოვხვდი. გავემგზავრეთ ლესელიძეში, შეკრებაზე. იქ, ვისაც კი მოსწყურებოდა, ყველასთვის მე უნდა მომეტანა ლიმონათი. ფულს თვითონ მწვრთნელი აგროვებდა. ჯიხურამდე მისასვლელად პლაჟზე 900 მეტრი უნდა გამერბინა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, დამცხებოდა ხოლმე და ზღვაში შევდიოდი. იქიდან გამოსული 50-ჯერ უნდა ავზიდულიყავი ხელებზე. შემდეგ მწვრთნელი კისერზე შემაჯდებოდა და პლაჟზე დამარბენინებდა. ამის გარდა, დღეში ორი ვარჯიში მქონდა მოედანზე, სალამოს კი შტანგით ვმეცადინებოდი.

ძალიან ძნელი იყო. მაშინ იმედო ფხაკაძემ მითხრა: „არ დაგავიწყდეს და ამ ქვიშით ქილა გაავსე. შემდეგ იტყვი – სწორედ ამ ქვიშამ მაქცია კაცად!“ იმ ვარჯიშებმა მართლაც ბევრი რამ შემმატა – გავძლიერდი, მოვმაგრდი... თვითონ ამას ვერ ვამჩნევდი, სხვები ამჩნევდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი „ბურევესტნიკი“ ევროპის საუკეთესო გუნდებთან თამაშობდა. ტურნირის შემდეგ შედეგიანობით მეორე ვიყავი. პრიზიც მივიღე. ძალიან გამიხარდა. ახალი წლისთვის ლენინგრადში მიფერინავდით სათამაშოდ. მივედი აეროპორტში და მწვრთნელი მეუბნება: „შენ აღარ მიფრინავ“. რატომ? – ვიკითხე შემფოთებულმა. „იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოგიძახეს“.

სულ რალაც ექვსი-შვიდი თვის შემდეგ, როცა მე სასაცილოდ ამიგდეს, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოვხვდი...

მანამდე ნაკრების წინააღმდეგაც ვითამაშე: ჩვენი „ბურევესტნიკი“ „ზარია ვოსტოკას“ ტურნირის წინ სსრ კავშირის ნაკრებთან სპარინგ-მატჩების ჩასატარებლად მიიწვიეს. პირველ მატჩში ცხრა ბურთი გავიტანე, მეორეში – თერთმეტი. „ზარია ვოსტოკას“ ტურნირზეც, თბილისში, „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში ვითამაშე და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირებში მეორე ვიყავი...“

სსრ კავშირის ნაკრებში 1975 წლის 19 დეკემბერს მიიპატიჟეს. ალექსანდრე ანპილოგოვს ის-ის იყო 21 წელი შეუსრულდა...

მართლაც დიდი მოთმინება უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, რომ ყველაფერ ამას გაუძლოს. არადა, ამ სკეპტიციზმის სუსხს კიდევ კარგა ხანს გრძნობდა. თავმოყვარეობა საკმარისზე მეტი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ითმენდა — ითმენდა ლესელიძეში ლიმონათზე სირბილს, მძიმე ასკინკი-



სსრ კავშირის
ახალგაზრდული ნაკრები
— ევროპის 1973 წლის
ჩემპიონი.
პირველ რიგში,
მარჯვნიდან პირველი —
ალექსანდრე ანპილოგოვი,
მეოთხე —
ჯემალ ბარამიძე,
მეხუთე —
ამბერკი ტაბიძე



მარჯვნიდან —
ზაზა დოლიძე,
ალექსანდრე ანპილოგოვი,
ამბერკო ტაბიძე.
თბილისი 1984 წელი

ლას, როცა მწვრთნელი აჯდა კისერზე და ხან ერთ ფეხზე დახტოდა, ხან — მეორეზე, ორმეტრიანი ბიჭი დღეში 10-12 ტონა სიმძიმის აწევას უძლებდა. ლესელიძეები მის საცოდაობას გივი კარტოზიამ უცქირა და მწვრთნელს უთხრა: „მაგას ან მიასიკვდილებ, ან მართლაც რალაცა გამოგივა.“

დასაწყისში, და უფრო მოგვიანებითაც, საშა ანპილოგოვი თვითონაც კარგად გრძნობდა, რომ რალაცის იმედით, თითქოს ყასიდად დაჰყავდათ ყველგან ჯერ კიდევ გაურკვეველი პერსპექტივის გამო.

გუნდში ყოფნას აშკარად არ იმსახურებდა. ერთხელ ჯანო ბაგრატიონმა პოლონეთშიც კი წაიყვანა ტურნირზე. როცა ეს გამოაცხადა, მთელი გუნდი სახტად დარჩა, მაგრამ უფროს მწვრთნელს მტკიცედ სწამდა ანპილოგოვის და მუდამ ცდილობდა, ახალბედა ბიჭს საჭირო გამოცდილება მიეღო. მისი თანაგუნდელების, მაგალითად, ჯემალ ბარამიძის თქმით, საშას კარგა ხანს მოუხბდა „ბებერი მგლების“ — ცერცვაძის, ფხაკაძისა და სხვების ბუზღუნის ატანა — ფეხებში გვებლანდება, მოგვაცილებო. მაგრამ ჯანო ბაგრატიონი თავისაზე იდგა, თუმცა ისიც აღიარებდა, რომ გუნდის სახელოვან ვეტერანებს მართლაც ჰქონდათ უკმაყოფილების საფუძველი: აყლაყუდა და მოუქნელი ბიჭი ვერ დარბოდა, ბურთს ვერ იმორჩილებდა. გუნდში არავის ეგონა, რომ მისგან რამე გამოვიდოდა. „ბურევესტნიკში“, სულ ცოტა, სამი წლის მანძილზე ბალასტად თვლიდნენ — ზოგი ღიად და ზოგიც ფარულად. შეურყეველი დარჩა მხოლოდ ჯანო ბაგრატიონისა და თვითონ ალექსანდრე ანპილოგოვის რწმენა. მწვრთნელის თანადგომა მარტო ხელბურთით არ შემოიფარგლებოდა. ძია ჯანო ყოველთვის ითვლებოდა სპორტსმენების დიდ ქომაგად, განსაკუთრებით საქართველოს პოლიტიქნიკური ინსტიტუტის ფიზიკური კულტურის კათედრის ხელმძღვანელად მუშაობის დროს. თავისი გამორჩეული თუ აჩემებული მოწაფის მიმართ კი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ოჯახში თუ ინსტიტუტში. ერთხელ მთელი თავისი ნაცნობობის გამოყენებაც კი დასჭირდა, რომ შეგირდის მომავალი გადაერჩინა. შემთხვევა იმ დროისთვის მართლაც არაორდინარული იყო: კომკავშირულმა რეიდმა პერსპექტიული სპორტსმენი საშა ანპილოგოვი აღდგომის დღეს ქაშუეთის ეკლესიაში, წირვაზე გამოიჭირა. საშას ჭეშმარიტად მორწმუნე მშობლები ჰყავდა, თვითონაც ამ რწმენით გაიზარდა და სააღდგომო წირვას როგორ დააკლდებოდა. მოკლედ, მაშინდელი ხელისუფლების

აზრით, კომკავშირელმა ანპილოგოვმა გაუგონარი დანაშაული ჩაიდინა. არ დაგავინწყდეთ, გაქანებული ბრეჟნევის ხანაა. სულ ცოტა, კომკავშირიდან გარიცხავდნენ და მერე... მშვიდობით, უცხოურო ტურნირებო! და, საერთოდ, „დამნაშავეს“ დიდ სპორტზე აღარ უნდა ეფიქრა. ჯანო ბაგრატიონს, მთელ თბილისში ცნობილ პიროვნებას, კომკავშირის ცეკაში და უფრო „ზევითაც“ მოუხდა სირბილი, რომ მონაფის მომავალი გადაერჩინა.

მაგრამ, თვითონ მწვრთნელის თქმით, არც მისი შეგირდი იყო, როგორც რუსები იტყვიან, მთლად შაქარი. თავიდან თითქოს დამჯერი და დისციპლინის მოყვარული ჩანდა, მით უმეტეს, ოჯახი ძალიან უწყობდა ხელს, რომ სპორტში ევარჯიშა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ საშა ანპილოგოვს თავისი, გამოკვეთილი ხასიათი ჰქონია. „ცოტა ჯიუტი, ძნელად სამართავი ბიჭი გამოდგა, — იხსენებს „ბურევესტნიკის“ ყოფილი უფროსი მწვრთნელი, — ერთხელ გუნდს ჩელიაბინსკში გავეყვი. მაშინ „ბურევესტნიკის“ ხელმძღვანელი გარი იყო, მაჭავარიანი. მასპინძლებს კარგი გუნდი ჰყავდათ. ამ დროს საშამ აურია, ბურთები უმისამართოდ ურტყა. ბიჭები გამწარდნენ, მაგრამ ვერაფერი უთხრეს. შესვენებაზე მეც ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი. მკვახედ მიპასუხა — ხანდახან ესეც სჩვეოდა. მაგრამ როცა ანატოლი ევტუშენკოს (საბჭოთა კავშირის ხელბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი – ავტ.) არ ეპუებოდა, ის მართალი იყო... საშას ძალიან კარგი ბიჭის სახელი ჰქონდა, მაგრამ ბოლო ხანებში ცოტას ჯიუტობდა და მეტს იღებდა საკუთარ თავზე. ჯემალ ცერცვაძის შემდეგ ასეთი ბომბარდირი ჩვენს გუნდს არ ჰყოლია. თუმცა ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან როგორც მონაცემებით, ისე თამაშის სტილით“.

80-იანი წლების შემდეგ ალექსანდრე ანპილოგოვი თავდამსხმელებიდან მთელ მსოფლიოში არავის უღებდა ტოლს, თუმცა, მისი სპორტული კარიერა სხვაგვარად შეიძლებოდა წარმართულიყო – ის თვით „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის სახელოვანმა მწვრთნელმა ლევან ინწკირველმა დაიბარა და უთხრა, ჩვენს გუნდში გადმოდიო. მაშინაც ჩვეული სიჯიუტე გამოიჩინა. „მე ხელბურთი მომწონსო და დარჩა,“ — ამბობს ჯანო ბაგრატიონი.

კალათბურთი კი ხელბურთზე პრესტიჟულ სახეობად ითვლებოდა და ახლაც ითვლება, მაგრამ აბა ხელბურთელებს ჰკითხეთ...

* * *


ალექსანდრე ანპილოგოვის მისვლა თბილისის „ბურევესტნიკში“ და იქ ადგილის დამკვიდრება განსაკუთრებულ პერიოდს დაემთხვა — ხელბურთში ახალი თაობა მოვიდა და დაიწყო ბუმი, რასაც ძალიან უწყობდა ხელს თბილისის პოპულარული საერთაშორისო ტურნირი „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ძველი, ნაჯაფი თაობა უკვე ტოვებდა სარბიელს — თამაში დაამთავრა ბორის კოპალეიშვილმა, ჯემალ ცერცვაძე 1972 წელს წავიდა, თამაზ ანთაძე — უფრო ადრე, ანზორ ექსეულიძე და იმედო ფხაკაძე — 1973 წელს... წავიდნენ და თან გაიყოლეს ძველი წლების დიდება, იმ წლებისა, როცა თბილისის „ბურევესტნიკი“ მრისხანე ძალა იყო საბჭოთა კავშირში. ჩვენმა სპორტსმენებმა ხელბურთის თამაში სხვებზე გვიან დაიწყეს. ზოგი კალათბურთიდან მოვიდა, ზოგი — სხვა სახეობიდან, მაგრამ მალე მოახერხეს დასწეოდნენ მეტოქეებს და გაესწროთ კიდეც: 1962 და 1964 წლებში ჩემპიონები გახდნენ, მათ შუალედში ბრინჯაოთი დაკმაყოფილდნენ (სსრ კავშირის ჩემპიონატი „გრანიტასმა“ მოიგო), 1965-67 წლებში კი ველარ მოიცილეს ვიცე-ჩემპიონის ტიტული — სულ მეორე ადგილს იკავებდნენ. გარი მაჭავარიანის თქმით, იმ წლებშიც არავინ იყო მათი მომგები, მაგრამ წმინდა ქართულ უპასუხისმგებლობას და თავქეიფობას იჩენდნენ — მაინც ყველას მოვუგებთო. ეს ბაქიბუქი კი მძიმედ შემოუბრუნდათ, თანაც არაერთხელ. ამასთან, იმ პერიოდში უკვე ჩართული იყო მიკერძოების მანქანა „თავხედი“ ქართული გუნდის წინააღმდეგ. საბჭოთა ქვეყანაში ხელბურთის განვითარების პირველ წლებში მოსკოვის ხელმძღვანელობას, ეტყობა, ჯერ არ ჰქონდა დასახული მიზნად, რომ, როგორც სპორტის სხვა სათამაშო სახეობებში, ჩემპიონი აუცილებლად დედაქალაქის გუნდი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ხელბურთის პოპულარობის ზრდის კვალობაზე (რომელმაც საბჭოთა გუნდი მსოფლიოში უძლიერესად აქცია), 1965 წელს მათ პირდაპირ დაუყენეს საკითხი ხელბურთის საკავშირო ფედერაციას: გვეყო ამდენი მარცხი, ქვეყნის ჩემპიონი მოსკოვის რომელიმე გუნდი უნდა გახდესო. მანამდე მოსკოვის „კუნცევო“, მაი, კაუნასის „გრანიტასი“, ზმეტი და სხვები ამაოდ განაგრძობდნენ ჩვენი გუნდის დევნას, თუმცა „ბურევესტნიკს“ სხვა ფორმითაც დევნიდნენ: 1963 წლის საკავშირო ჩემპიონატში, რომელშიც ლიტველებმა გაიმარჯვეს, კურიოზული ამბავი მოხდა: შეჯიბრებაზე დაუშვეს...

გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარების გუნდი. ბოლო ტურზე, რომელიც ჩელიაბინსკში გაიმართა, ჯარისკაცი ხელბურთელები არ ჩამოვიდნენ, მათი შედეგები გაუქმდა და სხვებზე გადანანილდა. შედეგად „ბურევესტნიკს“, რომელიც ჩემპიონატის ლიდერი იყო, ქულები დააკლდა, მის უახლოეს მეტოქეებს მიემატა და ამიტომ დარჩა მესამე ადგილზე.

იმედო ფხაკაძის თქმით, ჩემპიონობა მათ 1967 წელსაც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო ტურში მოსკოვის „კუნცევოსთან“ ნაღდზე უნაღდესი და გადამწყვეტი გამარჯვება ხელიდან გამოგვაცალესო.

ჩვენი ხელბურთის დაღმასვლა ამის შემდეგ დაიწყო, თანდათანობით, მთელი ათი წლის მანძილზე — 1977 წლამდე აღარ ღირსებიათ საკავშირო ჩემპიონატის მედლები. მანამდე ერთხელ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა და დაბრუნებაც მოასწრეს. ჩვენი მეტოქეები ძლიერდებოდნენ, „ბურევესტნიკს“ კი თაობათა ცვლის მტკივნეული და ხანგრძლივი პერიოდი ედგა, ვიდრე სარბიელზე გამოჩნდებოდა და მყარად დაიმკვიდრებდა ადგილს, ჯანო ბაგრატიონის შეფასებით, მართლაც შესანიშნავი ახალი თაობა: ძმები ბერიაშვილები, გია ნარიმანიძე, ზაურ გუნაძე, ზაზა დოლიძე, მამუკა სხიერელი, ჯიმშერ დვალიშვილი, ალექსანდრე ხუციშვილი, ჯემალ ბარამიძე, ამირან კომახიძე, ამბერკი ტაბიძე... და, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ანპილოგოვი. ეს თაობა უკვე თამამად ებრძოდა როგორც მოსკოვის გუნდებს — მაის, „კუნცევოს“, ცსკას, ისე „გრანიტასს“, „პოლიოტს“ და სხვებს. სწორედ მათ მოიგეს საკავშირო თასი და უფრო ადრე კიევეში, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, მესამე ადგილი დაიკავეს (მაშინ გუნდს იმედო ფხაკაძე ხელმძღვანელობდა). 1977 წლის წარმატებაც, პირველად ათწლიანი პაუზის შემდეგ, ცხადია, მათ ანგარიშზეა. 1980-81 წლის სეზონში მესამე ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის ჩემპიონატში და რადგან ქვეყნის თასი ჰქონდათ მოპოვებული, ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. წარმატების რეალური იმედი ჰქონდათ, მაგრამ ცხრა ბურთის სხვაობით წააგეს მადრიდში. პირველ ტაიმში შვიდი ბურთით იგებდნენ, მაგრამ მერე მსაჯებმა ჩვენები უღმერთოდ აიკლეს.

მაშინდელი სიტუაციის სიცხადისთვის მოვიტან იმედო ფხაკაძის ნათქვამს: „იმ დროისთვის საბჭოთა ხელბურთში ისეთი ძლიერი სისტემა იყო შექმნილი, ისეთი გამართული მანქანა მუშაობდა, რომ საბჭოთა ნაკრებ



ალექსანდრე ანპილოვი:

„სპორტში რომ აღმოვჩნდი, ამაში ჩემი და რაიაა „დამნაშავე“. ავადმყოფი ბავშვი ვიყავი, სასწავლო წლის ორ მეოთხედს ვატყენდი. შინ ვმეცადინებოდი და მერე ყველა საგანს ექსტერნად ვაბარებდი. ისე, კარგად ვსწავლობდი, მეტი რაღა დამრჩენოდა... ექიმებმა დისტროფიის დიაგნოზი დამისვეს: 190 სანტიმეტრი ვიყავი და სულ 43 კილოგრამს ვინონიდი.“

გუნდებს, კარგი ხელმძღვანელი რომ ჰყოლოდათ, არაფერი არ უნდა წაეგოთ, მათ შორის, არც ოლიმპიური თამაშები. სამი სხვადასხვა ნაკრები რომ გამოეყვანათ, ცალ-ცალკე სამივე ნებისმიერი შეჯიბრების ფავორიტი იქნებოდა“.

იმ ხელმძღვანელს კიდევ დავუბრუნდებით, რადგან სპორტული კარიერის გზაჯვარედინზე, მეტოქეების გარდა, სწორედ მასთან მოუხდა დიდი პაექრობა ალექსანდრე ანპილოგოვს, თუმცა მანამდე, ესეც სათქმელია, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი, იმედო ფხაკაძესაც საკმაოდ ცივად დაშორდა.

იმედო ფხაკაძე: „როცა გუნდში გრძელი სკამით არ ხარ განებივრებული, მოთამაშეებს სხვანაირი მწყემსვა სჭირდებათ. თუ ისეთი მარქაფი გყავს, როგორც საკავშირო ნაკრებში იყო, იმას დიდი სპეციალისტობა არ სჭირდება. ჩემს დროს ანპილოგოვი „ბურევესტნიკში“ მთავარი დამრტყმელი ძალა არ იყო, მაგრამ ხანდახან სიჯიუტეს იჩენდა, დასარტყმელი პოზიცია არ ჰქონდა და მაინც ცდილობდა ბურთის გატანას. გასაგებია, რომ 22 წლის ბიჭს, რომელიც ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი იყო საქართველოში ხელბურთელთა შორის, სხვა ამბიცია გაუჩნდებოდა, მისთვის ყველა კარი ღია უნდა ყოფილიყო. უკვე გვექონდა მცირე დაპირისპირება. მე ვერაფერს მიბედავდა, მაგრამ ამას ისედაც ვგრძნობდი. იმასაც აშკარად ვხედავდი, რომ მისთვის ვარსკვლავური ამბიცია ჯერ ადრე იყო. გუნდისთვის მთავარი საქმეები ჩემი წამოსვლის შემდეგ, უფრო 1979 წლიდან გააკეთა... რაში გამოიხატებოდა ჩვენი უთანხმოება? ერთ-ერთ ტურში დავინახე, რომ გუნდი აღარ მემორჩილებოდა, წყალი იმღვრეოდა და წასვლა გადავწყვიტე. ვთქვი კიდევ — ამ გუნდს დიდი ხნის მანძილზე ვქმნიდი და ისევ გუნდის გამო მივდივარ-მეთქი.

თუმცა არც მაშინ და არც მერე საშასთან პირადი კონფლიქტი არ მქონია. მოგვიანებით მომწერა კიდევც, დაბრუნდიო. დაღვინდა, დაფიქრდა და სწორად შეაფასა სიტუაცია. აფრიკაში, მალიში რომ ვმუშაობდი მწვრთნელად, 1980-1982 წლებში, წერილიც კი გამომიგზავნა — შენს წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავსო, მაგრამ იმ შემადგენლობასთან აღარ მინდოდა მუშაობა. ანპილოგოვმა კი, როგორც გითხარით, მკვეთრად მოუმატა თამაშს 24 წლის ასაკიდან. რა თქმა უნდა, მე ყოველთვის მისი გულშემატკივარი ვიყავი — გუნდშიც და იქიდან ჩემი წასვლის შემდეგაც...”

სიმართლე უნდა ითქვას, სიჯიუტეში არც მწვრთნელი ჩამორჩებოდა მოწაფეს. 1975 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა უნდა გამართულიყო, ანპილოგოვი კი მოსამზადებელ სეზონში, ლესელიძის შეკრებიდან გამოავადო იმედო ფხაკაძემ, რადგან მას მენისკის ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებელი. ეს ახლა არის, რომ ასეთი ოპერაციიდან ორი კვირის შემდეგ სპორტსმენი ვარჯიშს განაახლებს ხოლმე, მაშინ კი რეაბილიტაციას ნახევარი წელიწადი სჭირდებოდა. საშას ოპერაციის გაკეთება არ უნდოდა, რადგან „ბურევესტნიკი“ სანვრთნელი შეკრებიდან სირიაში უნდა გამგზავრებულიყო. იმ დროს უცხოეთში წასვლა დიდი სტიმული იყო სპორტსმენებისთვის. უფროს მწვრთნელს ურჩიეს კიდეც, ანპილოგოვს ნუ გააბრაზებ, შეიძლება მოსკოვში გადავიდესო. ცხადია, მისი რუსული წარმომავლობა ჰქონდათ მხედველობაში, მაგრამ იმედო ფხაკაძემ თავისი გაიტანა... 1974 წლის სექტემბერში, როცა გუნდი ლესელიძიდან თბილისში დაბრუნდა, ანპილოგოვს ოპერაცია ჯერ არ გაეკეთებინა, ჯერ ისევ ფიქრობდა სირიაზე. იქვე გაემგზავრა, მოსკოვში კი მოუხდა წასვლა ცნობილ ქირურგ მირონოვასთან. მომდევნო წელს, უკვე სპარტაკიადაზე, იმედო ფხაკაძე ნაოპერაციებ ბომბარდირს ზოგავდა, მხოლოდ გადამწყვეტ დროს, სამი-ხუთი წუთით თუ ათამამებდა და თავისი საქმე მაინც გააკეთებინა. მწვრთნელი ახლაც მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ, ის დროული ოპერაცია რომ არა, ანპილოგოვი შეიძლება ის ანპილოგოვი აღარ ყოფილიყო, რომელიც შემდგომ მთელმა ხელბურთის სამყარომ გაიცნო.

საქართველოს ნებისმიერი სპორტსმენისთვის მაშინ ყოველთვის – ზოგისთვის ადრე, ზოგისთვის მოგვიანებით – ჩნდებოდა დილემა, რომლის გადაწყვეტის გარეშე მისი კარიერა ვერ შედგებოდა. ეს დილემა, ადვილი მისახვედრია, საბჭოთა კავშირის ნაკრები, უფრო ზუსტად, იქ მოხვედრა იყო. რამდენი პერსპექტიული ათლეტის ცხოვრების გზა გამრუდებულა იმის გამო, რომ საჭირო დროს საჭირო ყურადღება არ მიაქციეს, ან უდიერად უარყვეს მათი აშკარა ნიჭი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საილუსტრაციოდ მიხეილ მესხის ქრესტომათიული მაგალითიც გამოვღებო. მსოფლიო სახელის მქონე ფეხბურთელის ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ სუბიექტივიზმი ყველაზე მეტად სპორტის გუნდურ სახეობებში ვლინდებოდა, რადგან აქ მთავარი საზომი მწვრთნელის შეხედულება იყო და არა ის, რომ კონკუ-

რენტს ჯობდი. ხშირად საკუთარ (რესპუბლიკის) გუნდში ნაჩვენებ შედეგებს არაფრად აგდებდნენ, რაშიც ალექსანდრე ანპილოგოვს მთელ საბჭოთა კავშირში ბადალი არ ჰყავდა და ამისი რამდენიმე მაგალითი დასაწყისშივე მოვიტანე. მოთამაშეს მოჭიდავე დავით გობეჯიშვილივით არავინ მოუწყობდა 31-წუთიან შეჯიბრებას ნაკრების სხვა კანდიდატთან, რომ ოლიმპიადაში გამოსვლის უფლება მოეპოვებინა.


ეს ტენდენცია ჩვენს ხელბურთშიც იგრძნობოდა. ყველა მწვრთნელი, გარი მაჭავარიანის თქმით, თავის მოთამაშეებს „ტენიდა“ საკავშირო ნაკრებში, მაგრამ შეუპოვარი გიორგი სიხარულიძე, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ლამის ფეხით აღებდა თავისი „საკავშირო კოლეგის“ პავლოვის კაბინეტის კარს და დაჟინებით მოითხოვდა, რომ ჩვენი სპორტსმენები არ დაეჩაგრათ. მაგრამ რამდენ ხანს ხუჭავდნენ თვალს ბრწყინვალე თავდამსხმელის ჯემალ ცერცვაძის ნიჭზე?! მის ადგილზე ათამაშებდნენ უკრაინელ ტაპენკოს, რომელსაც ერთხელ დანიის ნაკრებთან თამაში ჩაუვარდა და ჩვენს ბომბარდირსაც მიეცა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ მომდევნო მატჩში ისევ... ტაპენკო ათამაშეს. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სწორედ მისი მიზეზით წააგო დანიის ეროვნულ გუნდთან, მაშინ როცა დანიელებისთვის საქართველოს ნაკრებსაც მოუგია აქ, „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე... 1970 წელს, როცა ჯემალ ცერცვაძე მართლაც საუკეთესო თავდამსხმელი იყო საბჭოთა კავშირში, მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაიყვანეს. ორი წლის შემდეგ კი ნაკრების გამოკვეთილ კანდიდატს იმედო ფხაკაძეს ზედ მიუხსენის ოლიმპიადის წინ მიუკეტეს გუნდის კარი. მას ამჯობინეს შევჩენკო „კუნცევოდან“ — ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი აკბაშევი სწორედ ამ გუნდიდან იყო და ადვილი მისახვედრია ამ გარიგების საფუძველი. საბჭოთა ხელბურთელებმა ოლიმპიადა ჩააფლავეს და ყველაფერი... შევჩენკოს დაბრალდა — წარმოგიდგინათ, კუთხის მოთამაშეს მიაწერეს მთელი ნაკრების მარცხი (?!). ჩვენი ხელბურთელებისთვის საუკეთესო დრო მაშინ დადგა, როცა საკავშირო ნაკრების სათავეში იყო ქართველი გიორგი შარაშიძე, ცნობილი „კროშკა“. მაშინ ჩვენებიდან ხუთი კაცი საკავშირო ნაკრებში მოხვდა. ცერცვაძე, აბაიშვილი, ფხაკაძე, ექსეულიძე, ანთაძე — ვერც ერთს ვერავინ ვერ დაინუნებდა.

შემდეგ დადგა ანატოლი ევტუშენკოს ხანა და ეს „იდილიაც“ დამთავრდა. ახალი უფროსი მწვრთნელი „კარის დიპლომატიაში“ ძალიან განაფული აღ-

მოჩნდა, თამაშის ხელმძღვანელობაში კი არც ისე — სულ რაღაც გაუგებარ თეორიებს ირჩევდა. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის ნაკრებს გაცილებით დაბალი შედეგები ჰქონდა, ვიდრე იმსახურებდა. აქვე ვიტყვით, რომ გუნდი პირველად 1976 წელს, მონრეალში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და, ალექსანდრე ანპილოგოვის გადამწყვეტი გოლები რომ არა, ვინ იცის, რა მოხდებოდა...

ევტუშენკომ, რომელსაც ხელმძღვანელობის გაბრუება კარგად ეხერხებოდა, მალე გამონახა საერთო ენა პავლოვთან და მაი-ს ყოფილ მოთამაშეებთანაც, რომლებიც საბჭოთა ხელბურთს ხელმძღვანელობდნენ — იცოდა, ვის რა უყვარდა. თან კარგი ორგანიზატორიც იყო, მაგრამ მწვრთნელი... უსამართლობის გამო ბევრ მოთამაშეს არ უყვარდა: ხან ფეხსაცმელებს წყლით უფსებდნენ, ხან ორთქლის აბანოში დენს უთიშავდნენ და კუნაპეტში ტოვებდნენ... მაგრამ რად გინდა, ევტუშენკო მრავალი წლის მანძილზე ახერხებდა მდგომარეობის შენარჩუნებას...

„ანპილოგოვი კი პირდაპირი კაცი იყო, უფროს მწვრთნელს პირში ეუბნებოდა ყველაფერს, სხვებივით ყველაფერზე თავს არ უქნევდა, — ამბობს ჯანო ბაგრატიონი, — კარგად ნათქვამს სწორად იგებდა, მაგრამ უსამართლობასაც მშვენიერად ამჩნევდა და ეწინააღმდეგებოდა. მე და იმედო ფხაკაძემ ჩვენი გავიტანეთ და ის საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვდა მაქსიმოვთან, კლიმოვთან, იშჩენკოსთან... თვითონ ევტუშენკოც მალე მიხვდა, თუ რა მოთამაშე მივეცი. იქ ჩერნიშოვიც ჰყავდათ ცსკა-დან, მასავით მაღალი იყო, მაგრამ ანპილოგოვს სხვა გონება ჰქონდა. თან შეუპოვარი მებრძოლი გახლდათ, მოედანზე შიში არ იცოდა — იქით აგულიანებდა თანაგუნდელებს. ეშმაკიც იყო — მყისიერად ხვდებოდა, სად და როგორ დაერტყა ბურთი. მონრეალის ოლიმპიადაზე, ფინალურ მატჩში, ევტუშენკოს საშა კარგა ხანს ეჯდა სათადარიგოთა სკამზე, მერე კი გაიყვანა მოედანზე. ანპილოგოვმა გადამწყვეტი და პირდაპირ სასწაულებრივი გოლები გაიტანა. გერმანიაში, საბჭოთა ნაკრებმა მსოფლიო თასი რომ მოიგო, გადამწყვეტი გოლი ისევ მან შეაგდო. ევტუშენკომ ჩვენი მთავარი ბომბარდირი მოსკოვში ვერაფრით ვერ გადაიყვანა და ამიტომ ხანდახან ჩაგრავდა, თუმცა მაინც ვერ გატეხა: საშამ აქაურობას და თავის გუნდს არ უღალატა, გრძნობდა თავის მნიშვნელობას “ბურევესტნიკში” და, აქედან გამომდინარე, დიდ პასუხისმგებლობას. თამაშში 12-15 გოლი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო“.



ჯემალ ბარამიძე:
„საშას ჰქონდა ძალიან
ძლიერი დარტყმა, რო-
მელსაც მე მართო ზუსტს
ვერ ვუნოდებდი. ეს უფ-
რო მეტი იყო — ძალიან
ჭკვიანური დარტყმა,
მეკარისთვის მეტისმეტად
უხერხული. მას, როგორც
საუკეთესო ბომბარდირს,
მუდამ საგანგებოდ,
ძალიან მკაცრად მეურვე-
ობდნენ. ამიტომ ხან ხელი
სტკიოდა, ხან — ფეხი,
მაგრამ არასოდეს
წუნუნებდა.“

გარი მაჭავარიანიც და ყველა სხვაც ამავე აზრისაა: ევტუშენკოს რომ მეტი გასაქანი მიეცა, საშა უფრო მეტად გამოიჩინდა თავს, მაგრამ მეტისმეტად ხშირად იჯდა სათადარიგოთა სკამზე და უფროსი მწვრთნელი “თავის” ხალხს ათამაშებდა.

ასეთი ხალხი კი ევტუშენკოს საკმაოდ ჰყავდა. ნაკრებში ვინც არ მოეწონებოდათ, გვერდზე მოისროდნენ და ახლები მოჰყავდათ. რა ენაღვლებოდათ — საბჭოთა ქვეყანაში ხელბურთის ბუმი იყო და ბევრი ნიჭიერი მოთამაშე ეგულებოდათ. ამიტომ, ფხაკაძის თქმით, ასეთ პირობებში საქართველოს სპორტსმენს არავინ მიანიჭებდა უპირატესობას, იგი ერთი თავით მაღლა უნდა მდგარიყო თავის კონკურენტებზე და ეს განსაკუთრებით ევტუშენკოს დროს ჩანდა. მას ჩვენი გამორჩეული მოთამაშე ხშირად გამოჰყავდა წყობიდან...

* * *

ალექსანდრე ანპილოგოვი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში 19 წლისა მოხვდა მეკარე ჯემალ ბარამიძესა და განაპირა თავდამსხმელ ამბერკი ტაბიძესთან ერთად. მეკარის მიერ თავდამსხმელის შეფასება ალბათ ყველაზე ზუსტია...

ჯემალ ბარამიძე: „საშას ჰქონდა ძალიან ძლიერი დარტყმა, რომელსაც მე მარტო ზუსტს ვერ ვუწოდებდი. ეს უფრო მეტი იყო — ძალიან ჭკვიანური დარტყმა, მეკარისთვის მეტისმეტად უხერხული... მომთმენიც იყო. მას, როგორც საუკეთესო ბომბარდირს, მუდამ საგანგებოდ, ძალიან მკაცრად მეურვეობდნენ. ამიტომ ხან ხელი სტკიოდა, ხან — ფეხი, მაგრამ არასოდეს წუნუნებდა. ერთხელ კოჭი ისე ჰქონდა გასივებული, მოედანზე მის გასვლას ვინ იფიქრებდა. მე, მაგალითად, ვერ გავბედავდი. საშა გავიდა და ითამაშა.“

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო, მაგრამ ჩვენთვის ძველ საშად რჩებოდა. გასართობადაც წამოგვყვებოდა, ხანდახან დაღევაც შეეძლო; მხოლოდ ყველაფერში საოცარ ზომიერებას იჩენდა, ზღვარს არ გადადიოდა. იშვიათად, მაგრამ მასაც ჰქონდა რთული პერიოდები. ერთხელ ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს, განმარტოვდა, საერთოდ აღარ უნდოდა ხელბურთის თამაში. როცა უთხრეს, ასეთი

საქციელი ცუდად იმოქმედებს არა მარტო შენს რეპუტაციაზე, არამედ გუნდის შედეგებზეო, ისევ შემობრუნდა“.

ასეთ საკითხებში საშა ანპილოგოვს დიდი დარწმუნება არ სჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ, როგორც გარი მაჭავარიანის, ისე სხვა უფროსი მწვრთნელების დროსაც თამაშს იმის მიხედვით ადგენდნენ, რომ ანპილოგოვს დასარცმელი პოზიცია ჰქონოდა. მაგალითად, ლიტვაში გამართული ტურის დროს 18 გოლი გაუტანა ზაპოროჟიეს გუნდს, რომლის კარს საბჭოთა ნაკრების მეკარე შიპენკო იცავდა... 1977 წელს სწორედ 21 წლის საშამ გაუტანა გადამწყვეტი გოლი ლიტველებს და ჩვენი გუნდი ფინალურ ექვსეულში გაიყვანა.

მაშინ „ბურევესტნიკმა,“ როგორც აღვნიშნე, მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ესეც დიდი მიღწევა იყო ათწლიანი პაუზის შემდეგ.

ამბერკი ტაბიძესაც საკავშირო ნაკრებში იგივე, უფრო სწორად, უარესი ბედი ელოდა, ვიდრე ალექსანდრე ანპილოგოვს. იმ წლებში ჩვენი ხელბურთელებიდან, საშას გარდა, ალბათ ყველაზე მეტად ის იმსახურებდა ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშს: ყოფილი მძლეოსანი სისწრაფით, ხტომის უნარით, საერთოდ, ფიზიკური მონაცემებით ყველას სჯობდა საკავშირო ნაკრებში და არაერთხელ უღიარებიათ საუკეთესო კუთხის მოთამაშედ (იყო პერიოდი — საკავშირო ჩემპიონატების ლამის ყველა ტურში), მათ შორის მოსკოვის ოლიმპიადისწინა ტურნირზე პოლონეთში. მაგრამ უკან დაბრუნებისას ანატოლი ევტუშენკომ პირდაპირ თვითმფრინავში გამოუცხადა, რომ ოლიმპიადაზე აღარ უნდა ეოცნება. მანამდე კიდევ ერთხელ შესთავაზა: აქ გადმოდი, მოსკოვშიო, მაგრამ ისევ უარი მიიღო. ამბერკის თქმით, ცსკა-ს ხელმძღვანელები 12 წელიწადს დასდევდნენ მოსკოვში გადასაბირებლად.

ამბერკი ტაბიძე: „1973 წელს საშასთან და ჯემალთან ერთად ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოვიგეთ, მომდევნო წელს კი — სოციალისტური ქვეყნების პირველობა. 1975 წლიდან ქვეყნის მთავარ ნაკრებში ვიყავით. უკვე გითხარით, მე როგორ მზლუდავდნენ. ანპილოგოვი რუსი კია, მაგრამ ნაკრებში არც მას უყურებდნენ კარგი თვალით: მანაც, სხვა ცნობილ სპორტსმენებთან – ვიქტორ სანეევთან, იური ოსიპოვთან ერთად, ჩვენებური ჯიგარი გამოიჩინა და საქართველოდან არ წავიდა... ერთხელ



ზურაბ კეკელიძე,
ზაზა დოლიძე,
ალექსანდრე ანუილოგოვი,
გია ნარიშკანიძე
და თამაზ საჯავია



თბილისის
„ბურევესტნიკი“ —
სსრ კავშირის 1977 წლის
ჩემპიონატის ბრინჯაოს
პრიზიორი

მოსკოვში, ჩვენი თამაშის დროს, მოედნის გასწვრივ მიკროფონები ჩამოკიდეს, როგორც ჰოკეიშია – რომ მატჩის ექო უფრო გახმიანებულიყო. სათადარიგოთა სკამიდან წამდაუნუმ გვაფრთხილებდნენ, არ შეიგინოთ, მთელი დარბაზი გაიგონებსო. არადა, შეგვეჭამეს მსაჯებმა... მხოლოდ ანპილოგოვმა გაბედა, მგონი მისი დაბადების დღეც იყო — მივიდა მიკროფონთან და ცხრასართულიანი რუსული გინება დაახვავა, რა თქმა უნდა, პროტესტის ნიშნად.

ერთხელაც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჩეხეთში ვთამაშობდით „ადრიატიკის თასზე“. ისიც თბილისის ტურნირით დიდი შეჯიბრება იყო. თამაშის დროს მოედანს გადავხედე და აშკარად დავინახე, როგორ გაუქანა რუმინელმა კუთხის მოთამაშემ ჩვენს საშას, ყბა მოსტეხა და ორი კბილიც ჩამოუღო. საავადმყოფოშილა მოვიდა გონს. “სად ვიყავი, არ ვიცოდი. მერე გამახსენდა, აქ ბროლის ქალი უნდა მეყიდა. ამით მივხვდი, რომ ჩეხოსლოვაკიაში ვიყავიო”, — გვითხრა მოგვიანებით. კბილებში ხელით ვატენიდით ხორცის წვრილ-წვრილ ნაჭრებს... რამდენიმე თვის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა და რუმინელებს, რომლებსაც ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ, უნდოდათ წინასწარ გამოეყვანათ მწყობრიდან საბჭოთა ნაკრების ბომბარდირი.

მერე ის კუთხის მოთამაშე რუმინელებმა სპეციალურად აქაც ჩამოიყვანეს „ზარია ვოსტოკას“ ტურნირზე. გვინდოდა შუაზე გაგვეგლიჯა, იმის მიუხედავად, რომ რუმინელებმა თბილისში აშკარად შერიგების ნიშნად გამოაყოლეს თავიანთ ნაკრებს. მაგრამ საშამ არ დაგვანება, არ გინდათ, მე თვითონ მივხედავო. ბოლოს მაინც აპატია და შეურეგდა.

საშა რუსია, მაგრამ ანატოლი ევტუშენკო, ნაკრების სხვა წევრებისგან განსხვავებით, მეტისმეტად მკაცრად ექცეოდა. იმედო ფხაკაძე ძალიან კარგად „კითხულობდა“ თამაშს, მაგრამ საშა ხანდახან მასაც ეურჩებოდა. ნაკრებში გაცილებით უარესად იყო საქმე: როცა მე და ანპილოგოვი რაღაც კომბინაციას გავითამაშებდით და ბურთს გავიტანდით, მაინც გვეჩხუბებოდნენ — როგორც ჩვენ გითხარით, ისე უნდა ითამაშოთო. გატანილ გოლს არაფრად ავდებდნენ, ოღონდ მათ ჭკუაზე გვევლო. საშა კი მაინც მეტყოდა ქართულად: მოდი, ამბერკი, ისევ ჩვენებურად გავაკეთოთო და მათ ჯინაზე ისევ გავგქონდა ჩვენი ქართული გოლები...

მასსოვს, ტალინში ვიყავით საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად. მოსკოველები მატარებლით გაუშვეს სახლში, დანარჩენები კი, ანუ პერიფერიელები, როგორც ისინი გვინოდებდნენ, ცოტა ხნით დაგვტოვეს. თვენახევრიანი შეკრების ბოლო იყო, დაქანცულები ვიყავით და დავლიეთ, ჩვენ — იშჩენკომ, გაგინმა, კუშნერიოვმა, პლახუტინმა... ქალაქში გაზიანი წყლის დაღვევა გვინდოდა და ჭიქა არ იყო. ანპილოგოვმა მოიხადა თავისი სვანური ქუდი და გაოცებული ტალინელების თვალწინ იმით დალია წყალი — ქართველები ამითაც სვამენ წყალსო. ხშირად ატარებდა სვანურ ქუდს, წყლის დასალევად კი არა, უყვარდა ამ ქუდით სიარული...”

ალექსანდრე ანპილოგოვი მოედანზე თავშეკავებული იყო და მოთმენაც შეეძლო, მაგრამ სრულებით არ ყოფილა მამა აბრამის ბატკანი. სხვაგვარად არავინ გააჩერებდა მოედანზე, სადაც ხელბურთელები ძალისმიერ ილეთებში ჰოკეისტებს არ ჩამორჩებიან. საჭირო დროს ხურდის დაბრუნებაც შეეძლო.

ამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიტან.

ყოველ გუნდში ხდება ასეთი რამ: ვიღაცა ვიღაცას განსაკუთრებით დაუახლოვდება, ერთად არიან სასტუმროს ნომერში შეკრებებისა და შეჯიბრებების დროს. და, საერთოდაც, უჭირთ თუ ულხინთ, ყველაფერი იცინან, ერთმანეთს ყველაფერს უზიარებენ. საშა ანპილოგოვს თანაგუნდელები დიდ პატივს სცემდნენ და თვითონაც მეგობრობით პასუხობდა მათ, მაგრამ მისთვის გამორჩეული თანაგუნდელი მაინც ზაზა დოლიძე იყო — ყოფილი მძლეოსანი, ბადროს მტყორცნელი, რომელიც შემდგომ შესანიშნავი მცველი და ზაზის მოთამაშე გახდა. მათ მართლაც ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ახლაც მეგობრობენ. ანპილოგოვის ხასიათი ყველაზე უკეთ ზაზა დოლიძემ იცის.

ზაზა დოლიძე: „ჩვენ, პირველ რიგში, ჯერ გეპეელები ვართ. გუნდში მე მასზე გვიან, 1973 წელს მივედი. ვარჯიშზე ის მეტროთი მოდიოდა. ვერის პარკში ვხვდებოდით ერთმანეთს, ცოტას ამოვისუნთქებდით და ერთად შევდიოდით დარბაზში. კომუნიკაბელური ბიჭი იყო, ურთიერთობაში წუნი არ დაედებოდა. კოჭებში ეტყობოდა, რომ მაგარი მოთამაშე დადგებოდა. არ ეთაკილებოდა, თუ ვინმე რამეს ასწავლიდა – ვინც გინდა ყოფილიყო: ცერცვაძე, ექსელუიძე თუ ბერიაშვილი – ყველას უსმენდა და იმასხოვრებდა.





არ მახსოვს, რომ შეჯიბრებაზე, სადაც არ უნდა წავსულიყავით, წიგნი არ წამოეღო. გონებითაც განვითარებული იყო და ნებისმიერ თემაზე შეეძლო მსჯელობა. ძალიან კარგად თამაშობდა ჭადრაკს, ყველას უგებდა გუნდში. სხვა თამაშებიც კარგად იცოდა. წარმოიდგინეთ, ჰოკეისაც კი თამაშობდა ყინულზე, რა თქმა უნდა, ფეხბურთსაც: გია ნარიმანიძე, ამირან კომახიძე, ჯემალ ბარამიძე, ამბერკი, საშა, მე – ხანდახან ფეხბურთელებსაც ვუგებდით. ძველი თაობის ფეხბურთელებს ჰკითხეთ და გეტყვიან.

საშა თავის უბანშიც (ციხისძირის ქუჩაზე ცხოვრობდა) ისე იყო, როგორც გუნდში: ყველასთან მეგობრობდა, არავის უყურებდა ზემოდან, მაშინაც კი, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მშობლები მორწმუნეები ჰყავდა და თვითონაც ასეთი გახლდათ. რადგან სპორტსმენი იყო, ვერ მარხულობდა და ღმერთს პატიებას შესთხოვდა ხოლმე. ცხოვრებაშიც და მოედანზეც თავშეკავებული იყო, იშვიათად გამოდიოდა მოთმინებიდან.

გუნდში რომ მოვიდა, თავიდან არავის სჯეროდა, რომ მისგან დიდი სპორტსმენი, მით უმეტეს, ოლიმპიური ჩემპიონი დადგებოდა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე მჯეროდა... ამ სიმაღლე კაცმა წელიწად-ნახევარის მანძილზე ისე იშრომა, ფიზიკური კონდიციებით ისეთ სიმაღლეს მიიღწია, სხვას ამისთვის ათი წელიწადი დასჭირდებოდა. გავიმეორებ — 205 სანტიმეტრი სიმაღლის კაცი, გუნდში რომ მოვიდა, შტანგის გრიფს – 20 კილოგრამს ვერ წევდა. მახსოვს, თავის ეზოში დიდი საბურავი ჩამოკიდა, 10-კილოგრამიანი კეტი გააკეთა, დაახლოებით ისეთი, პოლიციელებს რომ აქვთ, და იმ საბურავს უტყამდა უთვალავჯერ. ვარჯიშის შემდეგ რიგრიგობით, სულ მცირე, სამ მეკარეს დააყენებდა და თუ დამატებით 40 სროლას მაინც არ შეასრულებდა, ისე სახლში არ წავიდოდა.

მსოფლიოში ვერც ერთმა ხელბურთელმა ვერ მოახერხა თბილისის სპორტის სასახლის გუმბათამდე მიეწვდინა ბურთი, ვერც გერმანელმა შმიდტმა და ვერც სხვა ვარსკვლავებმა, თუმცა მრავალჯერ სცადეს. თუ არ ვცდები, 36 მეტრია. მხოლოდ საშას შეეძლო ეს... ამხელა კაცი 30 მეტრს 4,2 წამში ფარავდა, 400 მეტრს – 57 წამში (ეს მართლაც მისაბაძი შედეგია მოთამაშისთვის — მძლეოსანი ვიყავი და კარგად ვიცი, — ავტ.), ადგილიდან სიგრძეზე 313 სანტიმეტრზე ხტებოდა (ვიქტორ სანეევი – 320 სმ-ზე – ავტ.), ადგილიდან სიმაღლეზე – 103 სანტიმეტრზე (ვალერი ბრუმელი – 105 სმ-ზე

ზაზა დოლიძე:
„გუნდში მე მასზე გვიან, 1973 წელს მივედი. ვარჯიშზე ის მეტროთი მოდიოდა. ვერის პარკში ეხვდებოდით ერთმანეთს, ცოტას ამოვისუნთქებდით და ერთად შევდიოდით დარბაზში. კომუნიკაბელური ბიჭი იყო, ურთიერთობაში წუნი არ დაედებოდა. კოჭებში ეტყობოდა, რომ მაგარი მოთამაშე დადგებოდა.“

— ავტ.), ადგილიდან სამხტომში (იყო ასეთი ნორმატივი) 8 მეტრსა და 60 სანტიმეტრს ფარავდა. ერთხელ 9 მეტრიც მოიტოვა უკან; 103-105 კილოგრამს იწონიდა და, ამის მიუხედავად, კუპერის ნორმატივის ჩაბარებასა და კროსში გუნდის საუკეთესოთა სამეულში იკავებდა ადგილს. ალბატროსივით იყო — ხელების გაშლა 226 სანტიმეტრი ჰქონდა, 47 ზომის ფენსაცმელს იცვამდა. ასეთი გაბარიტების მიუხედავად, ბრტყელტერფიანობა არ აწუხებდა. კარგი აგებულების იყო და მყარად იდგა ფეხზე, მაგრამ დაცემა, გადატრიალებაც არ აშინებდა... 1974 წელს უკვე გუნდის ლიდერი იყო. ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია, თან ასეთი სიმაღლის და ასეთი ნახტომის მქონე კაცი რომ კარში დაარტყამდა... 1973-74 წლების სეზონში, უმაღლეს ლიგაში რომ დავბრუნდით იქიდან გავარდნილები, ცერცვაძის თაობა უკვე აღარ თამაშობდა და, პირდაპირ შემიძლია ვთქვა: 1975-დან 1985 წლამდე, როცა საშა გუნდის ლიდერი გახლდათ, “ბურევესტნიკის” წარმატებების თითქმის 80 პროცენტი მისი წყალობით იყო მოპოვებული.

ერთ ამბავს გიამბობთ: მამა რომ გარდაეცვალა, მამინ საკავშირო ჩემპიონატის ტური გვქონდა თბილისში. თუ კრასნოდარის გუნდთან მატჩს წავაგებდით, შეიძლება ისევ გასავარდნ ექვს გუნდს შორის მოვხვედრილიყავით. ჩვენ ვიფიქრეთ: კრასნოდარელებს მაინც აღარ სჭირდებათ ქულები, მოვლენ და საშას გამო თანაგრძნობას გამოგვიცხადებენო. მოვიდა ჯანო ბაგრატიონი, მეორე ოთახში გამიყვანა და მეკითხება: ხვალ თამაშია და ხომ არ იცი, საშა რას ფიქრობსო.

მაგას თქმა არ სჭირდება, როგორც ჭეშმარიტი სპორტსმენი, ისე მოიქცევა-მეთქი, — ვუპასუხე. დაკრძალვის საკითხებზე ვილაპარაკეთ. მეორე დღეს საშამ მითხრა, ოთხ საათზე მოდი, დალაპარაკება მინდაო. მივედი, სპორტული ტანსაცმელი უკვე ჩაელაგებინა ჩანთაში — ამას მუდამ თვითონ აკეთებდა, დედასაც კი არ ანდობდა ჩანთის ჩალაგებას. მოკლედ, ჩაანყო ტანსაცმელი, მამას შუბლზე აკოცა და უთხრა: მამა, გმადლობო და წამოვდი. მთელი გუნდი გველოდებოდა. შევედით გასახდელში, თავჩაქინდრულმა მოუსმინა სათამაშო გეგმის გარჩევას. როცა გუნდები ერთმანეთის პირისპირ დავდექით, მე კრასნოდარელთა თვალებსა და განწყობაში ვერავითარი თანაგრძნობა ვერ დავინახე. პირიქით, თამაში რომ დაიწყო, საშას ძველებურად ერთი-ორჯერ მაგრად მოადეს. მამინ კბილებში გამოსცრა:

მამა, მაპატიეო და მაშინვე ხურდა დაუბრუნა იმ უხემ მეთოქეს. ეს მნიშვნელოვანი მატჩი 21:17 მოვიგეთ. ჩვენი 21 ბურთიდან 14 საშამ გაიტანა.

მატჩის შემდეგ, გასახდელში რომ შევედით, უცებ მოწყდა. ბიჭებმა რომ დაიბანეს, შევიხედეთ და დავინახეთ — საშხაპეში ტიროდა. მანამდე სახლში ცრემლი არ გადმოვარდნია, მაგრამ მერე ვეღარ გაუძლო...

ყველა შეკრებასა და შეჯიბრებაზე ერთ ოთახში ვიყავით. ერთხელ, რალაც მიზეზების გამო, სცადეს ჩვენი დაცელება, მაგრამ ტყუილად... ღამე მაგიდის ნათურას აანთებდა და კითხულობდა. ჩემს ბუზლუნზე ხანდახან მპასუხობდა — შენც წაიკითხეო. კროსვორდების ამოხსნა უყვარდა და კარგადაც ხსნიდა. მაშინ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში კროსვორდები არ იბეჭდებოდა და რუსულს ყიდულობდა...

არასდროს მინახავს მოედანზე ხელჩაქნეული — ყბა ჰქონია გატეხილი, თითები დამტვრეული, მაგრამ მაგალითს გვაძლევდა, რომ არ გვენუნუნა. მხოლოდ მაშინ აბუზლუნდებოდა, როცა ყველანი გადაღლის ზღვარზე ვიყავით. როცა ბურთს ვერ გაიტანდა, უნდოდა ერთ გაფუჭებულ ბურთზე ორი-სამი გოლით ეპასუხა... იშვიათად მინახავს მოთამაშე, რომ დგომში და ნახტომში ერთნაირად ასეთი ძლიერი დარტყმა ჰქონოდა. წესის მიხედვით, ბურთის ფლობისთვის 45 წამი იყო. შეტევისას, ეს დრო რომ ამოინურებოდა, ცხრამეტრიან საჯარიმოს ნიშნავდნენ და საშა სასწაულებს ახდენდა.

წაგებას არავის დააბრალებდა — მე თხუთმეტი ბურთი გავიტანე, შენ კი — ორიო; არავისზე არ იტყოდა, რომ ცუდად ითამაშა — არ წაგვივიდა თამაში და ეს იყო. მოკლედ, საქმე გამოსასწორებელი გვაქვსო. როცა კაუნასში იქაურ „გრანიტასს“ 33:31 მოვუგეთ და 33-დან 30 საშამ გაიტანა, გასახდელში სიცილი დავიწყეთ. პეტროვიჩ, რა გაცინებსო (მასზე ბევრად უფროსი არ ვიყავი, მაგრამ ასე მომმართავდა). აბა, რა იქნება, 33 ბურთიდან 30 შენი გატანილია-მეთქი. ნუ გააჩმახე, დღეს, უბრალოდ, ჩემი დღე იყოო.

უკვე ვთქვი, კომუნისტური ბიჭი იყო. როცა ლესელიძეში მივიდოდი თ ხოლმე მორიგ სანვრთნელ შეკრებაზე, ჯერ ოზურგეთში, ჩემიანებთან შევივლიდი. დაჯდებოდა სოფლის ხალხში და ისე უბრალოდ ეჭირა თავი ოლიმპიურ ჩემპიონს, როგორც ეს მშობლებმა ასწავლეს...


საშას მოპოვებული აქვს ყველა უმაღლესი ტიტული, რაც კი ხელბურთში არსებობდა, მაგრამ მაინც ნანობდა, რომ ჩვენ, „ბურევესტნიკმა“, დიდი

ტიტულები ვერ მოვიპოვეთ. არა მარტო თბილისში, არამედ ზაპოროჟიეში, ჩელიაბინსკში თუ სხვაგან, სადაც ვთამაშობდით, დარბაზებში მის სანახავად მოდიოდნენ. 1978 წელს საბჭოთა კავშირის თასი მოვიგეთ: ჯერ გასვლით მატჩებში ვითამაშეთ კარგად, მერე აქ, ცსკა-ს ვაჯობეთ, ფინალში კი „გრანიტასი“ დავამარცხეთ... უფრო ადრე, 1975 წელს, ევროპის საკლუბო ჩემპიონს, მოსკოვის მაი-ს ექვსი ბურთის სხვაობით მოვუგეთ. საშა მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ ცხრა ბურთი მაინც გაიტანა... სპორტისთვის ჰქონდა თავი გადადებული, მაგრამ მერე მაინც გამონახა დრო და წარმატებით დაიცვა დიპლომი ინჟინერ-ქიმიკოსის პროფესიით...

როცა ნაკრებში იყო მიწვეული და იქიდან თბილისში დაბრუნდა, 350 მანეთი სტიპენდია დაუნიშნეს; ჩამოვიდა და თქვა: ნაკრებში არ გამჭირვებია, კარგად ვიყავი მომზადებული, მაგრამ მე ჩემს გუნდში არ ვიყავიო.

თამაშში 12-15 ბურთის გატანა არათუ გუნდების, არამედ ნებისმიერი ნაკრების წინააღმდეგ შეეძლო. ცოტა ფიცხი იყო და პირში თქმა იცოდა. როცა ანატოლი ევტუშენკო მოუწოდებდა, მთლიანად დამორჩილებოდა გუნდური თამაშის პრინციპს და არა ინდივიდუალურ მოქმედებას, საშა ამბობდა: თუ ასე უკეთესად შემიძლია თამაში, მე მაინც ჩემსას ვარჩევო. ამიტომ ევტუშენკოს, როცა გუნდს გაუჭირდებოდა, მხოლოდ მაშინ გამოჰყავდა მოედანზე. როცა ულხინდა, საშას სათადარიგოთა სკამზე სვამდა ხოლმე. ერთხელ მან მოითხოვა, ყველას ჩამოენერა არანაკლებ 8-9-სელიანი მისთვის საყვარელი კომბინაცია. „მომცენ ბურთი ცხრამეტრიან ზონაში, დამიყენონ წინ სამი კაცი, ავხტები, დავარტყამ და გავიტანო“, — უთქვამს საშას. ევტუშენკოს არ უყვარდა ანპილოგოვი, არ უყვარდა ჯემალ ცერცვაძე, ერთი სიტყვით, გამორჩეული ლიდერები, რომლებიც თვითონ ქმნიდნენ თამაშს.

მონრეალში კი მას, უბრალოდ, არჩევანი არ ჰქონდა. ფინალში რუმინელებს შეხვდნენ, ძალიან ძლიერ გუნდს, რომელშიც თამაშობდნენ ბირტალანი, გაცუ, ლიკუ და სხვა შესანიშნავი ხელბურთელები. საბჭოთა ნაკრებში გამთამაშებელი იყო ლაგუტინი, ასევე ვალერი გასი და ანპილოგოვიც – მარჯვენა ინსაიდი. იყო მომენტი, რომ მთელ გუნდს არ წაუვიდა თამაში. მაშინ შეუშვა ევტუშენკომ საშა მოედანზე და უთხრა, შენი დიდი იმედი მაქვსო. ანპილოგოვმა უცებ გაიტანა ორი გოლი და რუმინეთის ნაკრები დაიშალა...



რამდენი შეთავაზება ჰქონდა საშას მოსკოვიდან – ბინას, მანქანას, უფრო დიდ სტიპენდიას და კიდევ რას არ ჰპირდებოდნენ, მაგრამ აქ, თბილისის „ბურევესტნიკში“ ამონურა თავისი შესაძლებლობები და მერე წავიდა“.

ნაკრებში, ევტუშენკოსთან, ალექსანდრე ანპილოგოვი ათი წლის განმავლობაში თამაშობდა და იქიდან, რომ იტყვიან, ტიტულებით დახუნძლული წამოვიდა: ოლიმპიადის ოქრო, ვერცხლი, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონობა, სამი მსოფლიო სუპერ თასი, მრავალი პრიზი... მაგრამ, ამდენი ჯილდოს მიუხედავად, ეს იოლი წლები არ იყო მისთვის. თბილისში გაზრდილი ახალგაზრდის ხასიათის გატეხა, რასაც ასე ბეჯითად ცდილობდნენ საკავშირო ნაკრებში, შეუძლებელი აღმოჩნდა და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე ანპილოგოვს ამ გუნდში ძალიან საინტერესო, მაგრამ ძალიან რთული ცხოვრება ჰქონდა.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „ჩემი პირველი შეკრება საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სიზმარივით იყო – მე სამამულო ხელბურთის საუკეთესო მოთამაშებთან ვვარჯიშობ: კლიმოვი, მაქსიმოვი, გასი, კრავცოვი, ლაგუტინი... და მე მათთან ვარ!... ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს სალამოს ვარჯიშამდე, როცა ორ გუნდად გავიყავით და ერთმანეთს ვეთამაშეთ. მაქსიმოვმა დაბნეულობა შემატყო, თავის გუნდში გამამწესა და მოკლედ მითხრა: „გრძელო, რას აკეთებ შენს „ბურევესტნიკში“? კარში ვტყორცნი, — ვუპასუხე. „მერედა, აქ რა გიშლის ხელს, ისროლე, ითამაშე თავისუფლად და ცოტა სიავით, როგორც შენს გუნდში. ჩვენთვის ავტორიტეტები არ არსებობენ, ჩვენ თვითონ ვართ ავტორიტეტები“. მღელვარება სადღაც გაქრა, ასეთ პარტნიორებთან თამაში კი მთელი სიამოვნება იყო. მყისიერად ხვდებოდნენ ყველაფერს. ის ამხანაგური მატჩი მოვიგეთ და მე უმტკივნეულოდ შევერიე ჩემს შესანიშნავ პარტნიორებს. მხოლოდ უცხოეთში ვერ წავედი – საზღვარგარეთის პასპორტი არ მქონდა...“

პირველად ნაკრებთან ერთად ავსტრიაში გავემგზავრე ოფიციალურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად. თუ ავსტრიელებს ვაჯობებდით, შესარჩევ ჯგუფურ ტურნირში პირველი ადგილი და მონრეალის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება გარანტირებული გვქონდა. არც ვფიქრობდი და არც იმედი მქონდა, მაგრამ ანატოლი ევტუშენკომ განაცხადში 12 მოთამაშეს შორის დამასახელა. რა თქმა უნდა, ვიგულისხმე, რომ ვიჯდებოდი სათა-

დარიგოთა სკამზე, ვუქომაგებდი ჩემიანებს, ვნახავდი, როგორ თამაშობენ გამოცდილი ხელბურთელები... მატჩი დაიწყო და ჩვენთვის სასარგებლო არაფერი ხდება! შუა ტაიმში ორი-სამი ბურთის სხვაობით ვაგებთ. ჩვენს ძირითად მოთამაშეებს არაფერი არ გამოსდით. მსაჯებიც არც ისე კორექტულად იქცევიან. გამუდმებული სტვენით აჩერებენ თამაშს და კომბინაციის განვითარების საშუალებას გვისაბობენ. ჩვენს მოთამაშეებსაც ტყორცნის შიში დაეტყოთ — ვაითუ ვესროლოთ და ავაცილოთო... მოკლედ, თამაში კი არა, ჯოჯოხეთი იყო. უცებ ევტუშენკო მოდის და მეუბნება: „გადი მოედანზე, იქნებ შენ გამოგივიდეს რამე“. აღმური მომედო. თავშიც იმ აზრმა გამკრა, რომ შეიძლება ვერაფერი მოვახერხო. თუმცა, მოედანზე გასვლისას ვიგრძენი, რომ ეს ჩემი შანსი იყო: ნაკრებში ახალბედა ვიყავი — რა მქონდა დასაკარგი, მოპოვება კი ბევრისა შემეძლო...

სწორედ ისე დავინწყე თამაში, როგორც მშობლიურ „ბურევესტნიკში“ მასწავლეს: მეტოქეს კარგად ჩახედე თვალებში, სადაც შეატყობ სისუსტეს, დალილობას, ჭოჭმანს, ამოირჩიე და იქით შეუტეი! ცოტა ხანში სამი თუ ოთხი გოლი გავიტანე და სამი საგოლე გადაცემა მოვახერხე. ჩვენი გუნდი უკვე წინ არის და უფრო დამაჯერებლად თამაშობს! ავსტრიელებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, თამაშიდან გავერიყე და ერთი შეტევის დროს ზედიზედ სამჯერ სახეში დამარტყეს. ერთხელ მოვითმინე. მეორედაც. ისევ ვთამაშობ. მესამეზე კი ცრემლი და სისხლი ერთმანეთში ამერია — ცხვირი გამიტეხეს და მოედნიდან ხელით გამიტანეს. ექიმმა რომან ზუბოვმა ტამპონებით შემიჩერა სისხლდენა. ევტუშენკოს მაინც ვკითხე, შემეძლო თუ არა თამაშის გაგრძელება. მან მოკლედ მომიჭრა: „არა!“

მეორე ტაიმში ავსტრიელებმა მსაჯების დახმარებით თამაში გაათანაბრეს და წინ გავიდნენ — პირველი ტაიმის ამბავი მეორდება! ისევ ვითხოვე მოედანზე გაშვება — სულ რომ არაფერი, მინდა იმ ავსტრიელს ხურდა მაინც დავუბრუნო. იმან, ვინც სახეში მირტყამდა, ახლოს ჩამირბინა, იური კლიმოვმა შეაჩერა და პირდაპირ ჩემკენ გამოუშვა, მე კი მარჯვენა შევაგებე... კლიმოვი ორი წუთით გააძევეს მოედნიდან, მე არაფერი მითხრეს, გადავრჩი. ცხვირი კი მოგვიანებით გამისწორეს. რა, არ მეტყობა, რომ პლასტიკური ოპერაცია მაქვს გაკეთებული? პროფესორმა ტყემალაძემ ფოტოსურათის მიხედვით აღმიდგინა. მაგრამ ეს სხვა ამბავია.



ის გადამწყვეტი მატჩი კი მოვიგეთ და მონრეალის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ...”

* * *

„ახლა, რაც შეეხება ევტუშენკოს. მასთან ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, ძალიან რთულიც იყო და ამავე დროს უბრალოც. უბრალო იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა. ძველი ფორმაციის მწვრთნელი იყო, ნიჭიერი, უფრო ზუსტად, კარგი ორგანიზატორი და ფსიქოლოგი. ყველა სიახლეს კარგად ითვისებდა. ცხოვრებაში კი ტირანივით იქცეოდა. ერთი მხრივ, მწვრთნელისთვის ეს კარგიცაა, მაგრამ ჩვენ, ნაკრების მოთამაშეები, ცნობიერების ისეთ დონეზე ვიყავით, რომ გონებაში ნათლად გვქონდა წარმოდგენილი — ჩვენ ყველანი ერთად ვასრულებდით ერთ დიდ საქმეს და ის მიღწევები, რომელიც გვქონდა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მის პირად ანგარიშზე არ იყო. ის კი გვხელმძღვანელობდა, მაგრამ საქმეს ჩვენ ვაკეთებდით, ის რეჟისორი გახლდათ, ჩვენ, ასე ვთქვათ, მსახიობები და ამ ორიდან არც ერთი მხარის მნიშვნელობის დაკნინება არ შეიძლება. მაგრამ ის, რაც ხანდახან ხდებოდა — მოთამაშეს რომ გამოიყენებდნენ და მერე დაუნანებლად გვერდზე მოისროდნენ — ჩვენთვის მიუღებელი იყო.

მართლაც ძნელია აღწერო ჩემი და ევტუშენკოს დამოკიდებულება იმ ათი წლის მანძილზე. მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ ჩვენ ვტკბებოდით გამარჯვებით, რომელიც ერთადერთი იყო საბჭოთა ხელბურთის ისტორიაში. მაშინ ჩვენ ძობა შევფიცეთ ერთმანეთს და ვერ წარმომედგინა, რომ ამ ფიცის გატეხვა შეიძლებოდა. მე ახლაც მისი ერთგული ვარ. როგორ უნდა მეწყენინებინა ჩემი უფროსი ძმისთვის?! ყოველ შემთხვევაში, მაშინ ევტუშენკოს ასეთად ვთვლიდი... თბილისში სულ სხვა ტრადიციებზე ვიყავი აღზრდილი: ჩემი სამივე მწვრთნელი – გარი მაჭავარიანი, ჯანო ბაგრატიონი, იმედო ფხაკაძე — ჩემი უფროსი მეგობრები, ჩემი აღმზრდელები იყვნენ. მათგან ბევრ რამეს ვსწავლობდი და ეს ერთგვარად ჩემი მშობლების გავლენის გაგრძელება იყო. მათ ისეთი ამაგი დამდეს, რომ ცხოვრებაში ვერ გადავიხდი.

კიდევ გეუბნებით: ის ფიცი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ასევე მწვრთნელი, რომელთან ერთად კარგი ცხოვრებაც გამოვიარე, მაგრამ საკავშირო ნაკრებში ისეთი სიტუაცია იყო... დამნაშავე მოთამაშე ფულად პრემიებსა და პრიზებს კარგავდა. ევტუშენკო კი ასე ხუმრობდა: დაზოგილი სახსრები საქართველოს ლარიზი ბავშვების დასახმარებლად არის გადადებულიო... ერთხელ სიგარეტით ხელში დამიჭირეს და ჩემი სტიპენდია 300-დან 200 მანეთამდე შემცირდა; ერთი კვირის შემდეგ – ისევ სიგარეტი და სტიპენდია უკვე 120 მანეთამდე ჩამომაკლეს. მაშინ ვუთხარი, აგერ თქვენი მარხილი და თქვენვე ათრიეთ მანამ, სანამ ჩემს სტიპენდიას არ დამიბრუნებთ-მეთქი.

ორი საათი იფიქრა ევტუშენკომ და მერე მითხრა: შენს სტიპენდიას მიიღებ, რადგან მჭირდება. ჩემთვის მთავარია შენი საქმე გააკეთო. მაშინ ვიფიქრე, თუ ძლიერი და შეუცვლელი მოთამაშე ვიქნებოდი, არ გამიჭირდებოდა ისეთ მწვრთნელთანაც კი, როგორც ევტუშენკო იყო. კარგი მოთამაშე არასდროს ყოფილა, მაგრამ, აკი გითხარით, კარგი ორგანიზატორი ბრძანდებოდა და თანაშემწეებად თამაშის მცოდნე, თავის დროზე ძლიერი ხელბურთელები ჰყავდა. მონრეალში ასეთი იური პრედებსა იყო, მოგვიანებით – იური კლიმოვი. რაკი მათთან უფრო კარგი ურთიერთობა მქონდა, ვიდრე უფროს მწვრთნელთან, ვცდილობდი ევტუშენკოზე სწორედ თანაშემწეების მეშვეობით მომეხდინა ზენოლა. იძულებული ვიყავი ასე მოექცეულიყავი, რადგან არცთუ იშვიათად ხდებოდა ასეთი ამბავი: თამაში, რომ იტყვიან, კარგად წამივიდოდა, ბევრი ბურთი გამეჭონდა და... სწორედ ამ დროს შემცვლიდნენ ხოლმე! – გუნდში თორმეტი მოთამაშეა და ყველას უნდა თავის გამოჩენაო. ადვილი არ არის: მოედანზე შემართებით გადიხარ, თამაში გამოგდის და უცებ გცვლიან! მერე ისევ გიძახებენ სათამაშოდ და ძალიან გიძნელდება იმ საბრძოლო განწყობის აღდგენა, თავს ძალას ატან, მაგრამ ადრინდელი შემართება იკარგება... რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა სხვადასხვა ტურნირის ბომბარდირი გაემხდარიყავი და ეს აშკარად შემეძლო კიდევ, მაგრამ ხშირად დრო აღარ მყოფნიდა, მეტად მცირე ხნით მიშვებდნენ მოედანზე სათამაშოდ.

მაშინ ნაკრებში ერთადერთი ხელბურთელი ვიყავი საქართველოდან და ამის შედეგი მალე გამოჩნდა: ანჰილოგოვი მაშინვე ქართველი გახდა! მერე რა, საჭირო იყო ღირსეულად მეტარებინა ეს სახელი: მე ვიყავი ქართული

სპორტის წარმომადგენელი და სხვებს ჩემთან ისეთივე დამოკიდებულება უნდა ჰქონოდათ, როგორც მე მქონდა მათთან. ანატოლი მიხაილოვიჩს თითოეულ მოთამაშეზე ზემოქმედების თავისი ბერკეტი ჰქონდა. ერთადერთი, რომელზეც ამ ბერკეტმა არ გაჭრა, მე ვიყავი – სხვებივით უსიტყვოდ არ ვემორჩილებოდი და ეს საკითხი, ასე თუ ისე, მოგვარდა. მას არ შეეძლო ემოქმედა ჩემს ზურგს უკან, რადგან მთელმა საქართველომ იცოდა, რომ მას მე ვჭირდებოდი და არა პირიქით. მე, უბრალოდ, ვითხოვდი ისეთ პატივისცემას, როგორსაც თვითონ ვიჩენდი სხვების მიმართ და მეტს არაფერს — პატივისცემას, როგორც სპორტსმენთან და როგორც ადამიანთან. ევტუშენკოც კარგად ხედავდა ჩემს ამაყ მარტოობას, პიროვნულ სიამაყეს, გრძნობდა, რომ ისეთივე გავლენა ვერ ექნებოდა ჩემზე, როგორც სხვებზე ჰქონდა. ჩემს უკან მთელ საქართველოს ვგრძნობდი...

ყველა მწვრთნელს თამაშის თავისი ხედვა აქვს და პრეტენზია ყველა მოთამაშეს შეიძლება გაუჩნდეს. ბუნებრივია, პრეტენზიები მეც მქონდა. საჭირო იყო მოთმენა, გამარჯვებისთვის სათადარიგოთა სკამზე ჯდომის ატანაც, თუმცა ამ დროს კარგად ვგრძნობდი, რისი გაკეთება შემიძლო, ხშირად იმასაც კი, რა შეეძლოთ სხვებს — ვისი შეცვლა იყო საჭირო და ვისი თამაში. მეორე მწვრთნელების – ჯერ პრედებსას, შემდეგ კლიმოვის საშუალებით ზოგჯერ კარნახსაც ვინყებდი, რომელი მოთამაშის გამოცვლა და მოედანზე რისი გაკეთება იყო აუცილებელი. მოკლედ, თამაშის რიტმს ვგრძნობდი. ყოფილა შემთხვევები, როცა საკუთარი რისკით, მწვრთნელის მითითების გარეშე ვმოქმედებდი.

ერთხელ, მაგალითად, სუპერთასის ფინალური მატჩის დროს ჩემს თანაგუნდელსა და უმცროს მეგობარს მიხეილ ვასილიევს თამაში არ გამოსდიოდა. კლიმოვს რამდენჯერმე ვთხოვე, მის მაგივრად შევეშვი მოედანზე. მეორე მწვრთნელი ამას ევტუშენკოს გადასცემდა, ის კი, ვითომც არაფერი... რადგან ევტუშენკო წარბს არ იხრიდა, რალაც უნდა მომემოქმედებინა, მით უმეტეს, რომ მიშა ჩემი გაზრდილიც იყო – იუნიორის ასაკში მოვიდა გუნდში და, როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი, რომ კარგი მოთამაშე დამდგარიყო.

მაშინ ავდექი და დავუძახე: მიშა, მოედნის კიდესთან გამოდი-მეთქი. როცა იმ ხაზთან მოვიდა, სადაც მოთამაშეები იცვლებიან, ხელი მოვიკიდე, მოედნიდან გამოვაგდე და მე შევედი. პირველი ტაიმის დამთავრებამდე

რვა წუთი რჩებოდა. ამ რვა წუთში ხუთი ბურთი გავიტანე და მეორე ტაიმში მწვრთნელებმა ჩემი შეცვლა ვეღარ გაბედეს – ვერც კლიმოვმა და ვერც ევტუშენკომ. მეორე ტაიმში იმ ბურთებს კიდევ ცხრა დავუმატე და 14 გოლით დავამთავრე მატჩი. სუპერთასი მოვიგეთ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ასე — საკუთარი რისკით იშვიათად ვმოქმედებდი...”

* * *

უკვე ითქვა და ამას ბევრი სპეციალისტიც დაბეჯითებით ამტკიცებს, ანპილოგოვი რომ არა, საკითხავია, ეღირსებოდა თუ არა საბჭოთა ხელბურთელთა ნაკრებს თავისი პირველი ტრიუმფი ოლიმპიადაზე. თვითონ ჩვენი ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ხელბურთში საკუთარ წვლილს სხვების დამსახურებისგან არ აცალკევებს და უბრალოდ გვიყვება მაშინდელ საბჭოთა ნაკრებში არსებულ ვითარებაზე, რომელმაც ის დიდი გამარჯვება განაპირობა.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ძირითად შეკრებაზე მთლად საღ-სალამათი ვიყავი. ისეთი უმძიმესი დატვირთვის ატანა მოგვიხდა, ეს შეკრება კი არა, ნამდვილი კატორღა იყო. დასვენების დღეს... 12-კილომეტრიანი კროსი გვქონდა, ხოლო ერთ-ერთი „მსუბუქი ვარჯიში“ ათ რეჟიმს მოიცავდა, რომლის დროს გულისცემა წუთში 220-230 დარტყმას აღწევდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერს გავუძელი და ყველაფერი გადავიტანე. დასკვნითი ხანმოკლე შეკრების დასრულებამდე სამი დღით ადრე, თამაშის დროს, ხელის მტევანი ვერ დავიმორჩილე და პირდაპირ ჩემს წინ აღმართულ თანაგუნდელთა ბლოკს შევაჯახე. შედეგად ხელის ზურგზე ძვალს ნაპრალი გაუჩნდა... მშვიდობით, ოლიმპიადავ! ექიმს ვეცოდებო და მამშვიდებს, მაგრამ მე ეს აღარ მჭირდება, რამდენი შრომა ჩამეყარა წყალში! ექიმს ვუთხარი: “ტრავმის შესახებ არავინ არაფერი იცის, ვიცით მხოლოდ მე და თქვენ. ოლიმპიადამდე სამი კვირაა დარჩენილი, მე კი ტანზე ყველაფერი მიხორცდება, პირდაპირ ძალღივით. არავისთან სიტყვა... შემიხვიეთ ხელი. აი, ნახავთ, გავუძლებ”. “ასეთი ტკივილის გაძლება შეუძლებელია”, — მიპასუხა ექიმმა. “თქვენ ვარჯიშზე დამიშვით და მერე ნახეთ”, — აღარ მოვეშვი.



ალექსანდრე ანპილოგოვი
და გია ნარიშანიძე

როგორც იქნა, ერთადერთ ვარჯიშზე დავითანხმე. ჯოჯოხეთური ტკივილი მკლავს, მე კი დავრბივარ და ბურთებს ვტყორცნი, თითქოს მსუბუქი ტრავმა მქონდეს... იმ ექიმის დიდი მადლობელი ვარ, რადგან ეშმაკობას მიმართა და მწვრთნელები დაარწმუნა, რომ სამ მოთამაშეს – მე, კლიმოვსა და მაქსიმოვს ვარჯიშის შეღავათიანი რეჟიმი გვესაჭიროებოდა, რადგან გადავიღალეთ. მართლაც, სამივენი გაგვათავისუფლეს გუნდური და კონტაქტური ვარჯიშებისგან. აი, ასე, სიმართლითა და ტყუილით მოვხვდი ოლიმპიადაზე.

თვითონ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ჩემი ოცნების ზღვარი იყო. გვყავდა ძალიან კარგი გუნდი და ვიბრძოდით როგორც შეგვეძლო. როცა იუგოსლავიელებთან წავაგეთ, უნებისყოფობა დაგვაბრალეს. მოიწვიეს დიდი კრება, რომელშიც საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის მთელი ხელმძღვანელობა მონაწილეობდა. კრებაზე ჩვენმა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ ყველას საშინელი ლაფი შეგვასხა. არც ის დავინწყებია ეთქვა, რომ ჩვენ ნეხვები ვართ, თვითონ კი ძალიან კარგი ადამიანია. ამ სპექტაკლის ბოლოს... აქვითინდა და ოთახიდან გავარდა.

უფროსობა მკაცრად შეგვპირდა, რომ სათითაოდ იმსჯელებდა ჩვენზე და შესაბამის დასკვნებსაც გააკეთებდა. შემდეგ მათაც დატოვეს კრება. თავჩალუნულები ვისხედით და სიტყვის თქმის გვეშინოდა. უცებ მაქსი (მაქსიმოვი, — ავტ.) ადგა და ასეთი რამ გვითხრა: „ძმებო, მე საგანგებოდ უკან გავყევი ჩვენს უდიდეს მსახიობს (ევტუშენკოს, — ავტ.). აქედან რომ აქვითინებული გაიქცა, გარეთ შლაპა დაიხურა და არხეინი სტვენა-სტვენით „ადიდასის“ ფირმაში მოსალაპარაკებლად წავიდა. ასე რომ, დახმარებას არავისგან არ უნდა ველოდოთ... ამ ნაგვიდან ჩვენ თვითონ უნდა ამოვიდეთ და თუ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ყველას დავუმტკიცებთ, რომ მართლაც კაცები ვართ! თანახმა ხართ?“ უარს ვინ იტყოდა?! მომდევნო თამაშის წინ მწვრთნელთა დარიგების შემდეგ ჩვენ, მოთამაშეებმა, ვთხოვეთ მათ, ასევე ექიმებსაც, მასაჟისტებსაც, მარტო დავეტოვებინეთ და თამაშის გეგმა ჩვენ თვითონ დავისახეთ, რადგან მეტოქეს ძალიან კარგად ვიცნობდით. ამ გეგმისთვის ერთი წამით არ გვიღალატია. შედეგად ზედიზედ ორი მოგება გერმანიასთან და დანიასთან... ევტუშენკო და პრედებსა, რომლებმაც ასე დაუნდობლად ჩაგვაგდეს უფროსობის ხახაში, უხერხულად ისხდნენ სათა-

დარიგოთა სკამზე. ჩვენდა საბედნიეროდ, გერმანელებმა იუგოსლავიელებს აჯობეს. ასე რომ, ქვეჯგუფში პირველი ადგილი და ფინალში თამაშის უფლება გვერგო. ვერცხლი უკვე ჯიბეში გვექონდა. თუ ოქროს მოვიპოვებდით... თუმცა, მაშინ ამის იმედი არავის ჰქონდა. მართალი გითხრათ, იმ დროს ჯილდოებზე არც ვფიქრობდით, მხოლოდ ვიბრძოდით და ვცდილობდით, რომ ჩვენი პანანკინტელა შანსი ხელიდან არ გაგვეშვა. შემდეგ ექსპერტები ამბობდნენ, რომ ის ფინალური მატჩი უნიკალური გამოდგა. მერე სულ მეშინოდა: იმათ, ვინც სადოპინგო კონტროლზე გამოიძახეს, რაიმე რომ აღმოუჩინონ, მედლები რომ წაგვართვან... აკრძალული ცხოვრებაში არავის არაფერი მიგვიღია, მაგრამ პროვოკაციების გვეშინოდა. კოკა-კოლასაც კი არ ვსვამდით, ონკანის წყლით ვკმაყოფილდებოდით.


იმ გამარჯვების გააზრება მაშინ ვერ მოვასწარი. უბრალოდ, სახლში დავბრუნდი იმ გრძნობით, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე. ეს უკვე მერე, თანდათანობით ამიხსნეს, რას ნიშნავს ოლიმპიური ჩემპიონობა. დაიწყეს კრებების მონყოფა, ლექციები ჩემი მონანილებით. მე კი სულ 22 წლის ვიყავი, რომელი ლექციის ნაკითხვა შემეძლო – რაც გულში მქონდა, იმას ვამბობდი. იყო პერიოდი, როცა კინალამ ჩამეყლაპა ვარსკვლავურმა სენმა. დიდი მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებმაც დროულად დამაბრუნეს მიწაზე...”

ამ საქმეში ერთმა შემთხვევამაც ითამაშა თავისი როლი. ერთხელ, განახლებული „დინამოს“ სტადიონის გახსნის დროს, ყველა ჩემპიონს სთხოვეს თავიანთი მედლებით გამოცხადებულიყვნენ. ანპილოგოვმაც ჩამოიკიდა თავისი რამდენიმე ჯილდო. ამ დროს მოდის ვიქტორ სანეევი და ნახევარი მკერდი ბრეჟნევივით ორდენებით აქვს დაფარული. „სულ რამდენი მედალი გაქვს?“ — ჰკითხა ანპილოგოვმა. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი დაფიქრდა და უპასუხა: „ასე, 30-40 კილოგრამი სახლში, ჩემოდანში მიწყვია“. „როცა ასეთ ხალხს ხვდები და ხედავ, რომ არაფერს იმჩნევენ, მე რატომ უნდა დამეხვას თავბრუ“, — არწმუნებდა მაშინ საკუთარ თავს ახლად გამომცხვარი ოლიმპიური ჩემპიონი.

მოსკოვის ოლიმპიადაზე კი სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრები ფინალში დამარცხდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან და ეს მარცხი ლამის მთლიანად ალექსანდრე ანპილოგოვს აჰკიდეს. ამ თამაშს რუსეთის დედაქალაქში გარი მაჭავარიანი უცქერდა.

ცნობილი გუნდებისა და თბილისის „ბურვესტნიკის“ შეხვედრების დროს, ყველაზე ხშირად, რასაც დარბაზში გაიგონებდით, იყო მოწოდება, მუდარა, ბრძანება, ისტერია — დაიჭირეთ ანბილოგოვი!!! ამას ცდილობდნენ ორი ან სამი პერსონალური მეურვეთ, რადგან ერთი არ ჰყოფნიდათ, ხშირად მთელი გუნდითაც. ხოლო როცა ცხრამეტრიან საჯარიმოზე მიდგებოდა საქმე, ამას მეტოქეთა მწერთნელების იმედგაცრუებული ოხვრა ან შეკურთხება მოჰყვებოდა ხოლმე. ანბილოგოვის „დაჭერა“, მის საუკეთესო წლებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო





ალექსანდრე ანპილოგოვი:
 „ჩემი პირველი შეკრება
 საბჭოთა კავშირის ნაკ-
 რების შემადგენლობაში
 სიზმარით იყო — მე
 სამამულო ხელბურთის
 საუკეთესო მოთამაშეებ-
 თან ვვარჯიშობ: კლიმოვი,
 მაქსიმოვი, გასი, კრაფ-
 ცოვი, ლაგუტინი... და მე
 მათთან ვარ!... ძალიან
 უხერხულად ვგრძნობდი
 თავს საღამოს ვარჯი-
 შამდე, როცა ორ გუნდად
 გაფიყავით და ერთმანეთს
 ვეთამაშეთ. მაქსიმოვმა
 დაბნეულობა შემბატყო,
 თავის გუნდში გამამწე-
 სა და მოკლედ მითხრა:
 „გრძელო, რას აკეთებ
 შენს „ბურევესტნიკში“?
 კარში ვტყორცნი, — ვუ-
 პასუხე. „მერედა, აქ რა
 გილის ხელს, ისროლე,
 ითამაშე თავისუფლად და
 ცოტა სიავით, როგორც
 შენს გუნდში. ჩვენთვის
 ავტორიტეტები არ არსე-
 ბობენ, ჩვენ თვითონ ვართ
 ავტორიტეტები“.

გარი მაჭავარიანი: „თამაშის მიწურულს ბოლო შვიდმეტრიან საჯარიმოს საშა არტყამდა. გერმანელებმა იემმაკეს, ვითომ მათმა ერთ-ერთმა მოთამაშემ მძიმე ტრავმა მიიღო, თამაში გააჩერეს და უსაშველოდ განელეს პაუზა. საშა იდგა ბურთით ხელში და ნერვები ეწურებოდა. ამდენი მოლოდინით გადაინვა და ის ბურთი ველარ შეაგდო — მეკარემ მოიგერია. მერე გერმანელები კვარცხლბეკთან რომ მივიდნენ, საშას ლაზლანდარობა დაუნყეს, რაღაც სამასხარაო სიმღერა უმღერეს. საბჭოთა ნაკრებს მაინც შეეძლო ფინალური მატჩის გადარჩენა იმ ნავსიანი საჯარიმოს შემდეგ, მაგრამ კორპაკევიჩმა, რომელსაც შესანიშნავი პასი მიანოდეს, ბურთი ვერ გაიტანა. მონრეალში კი, კიდევ ვიმეორებ, საშას დამსახურება უდიდესია“.

ალექსანდრე ანპილოგოვს უამრავი ტურნირი და ჩემპიონატი აქვს მოგებული იმ ნაკრების შემადგენლობაში, რომელსაც ანატოლი ევტუშენკო ხელმძღვანელობდა. მუდმივი ბრძოლა კი ორ ფრონტზე უხდებოდა: მოედანზე ისევ საუკეთესო ბომბარდირი იყო — თუ თამაშის საშუალებას მისცემდნენ, მის მიღმა კი მწვრთნელთან თავიდანვე დანყებული „განსაკუთრებული ურთიერთობის“ სიმძაფრე ხან მინავლდებოდა, ხან კი პირდაპირ ცივი ომის სახეს იღებდა. 1982 წელს მოსკოვში, სანვრთნელ შეკრებაზე ყოფნისას, ევტუშენკომ საერთო კრებაზე თბილისელ სპორტსმენს დედა შეაგინა. ანპილოგოვი გაცოფდა: თუ აქ, რუსეთში, დედის გინება მიღებულია, ჩვენთან, საქართველოში, ამას არავის აპატიებენო და ყველას თვალნინ სახეში სთხლიმა გუნდის უფროს მწვრთნელს. მერე მიატოვა ნაკრები და თბილისში დაბრუნდა. შელახული თავმოყვარეობა კარგა ხანს აწვალებდა. მთელი ცხრა თვის მანძილზე აღარ წასულა საკავშირო შეკრებაზე, თუმცა მიწვევებს სისტემატურად იღებდა. თავის მეგობარ ზაზა დოლიძეს მოელაპარაკა და კვირაში სამჯერ კუს ტბისკენ მიმავალი ბილიკის ტკეპნას შეუდგა.

შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის დრომაც მოანია, „ბურევესტნიკის“ შემადგენლობაში ჩემპიონატის ექვსი ტურიდან ხუთში პირველი ბომბარდირი გახდა, მეექვსე ტურში კი საერთოდ მთელი შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. სწორედ მაშინ ანაზდად გადააწყდა ანატოლი ევტუშენკოს, რომელმაც იქვე მიახალა: მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ შენ ისევ სსრ კავშირის ნაკრებში უნდა ითამაშოო. „იქნებ იმ მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტოს, რომ მე მტკვარში თავი უნდა დავიხრჩო, — მიიღო ბრაზი-

ანი პასუხი ევტუშენკომ, — ან საბჭომ რატომ არ გადაწყვიტა, რომ თქვენ, საკავშირო ნაკრების მწვრთნელი, გაგათავისუფლოს“.

საშა ანპილოგოვმა ქვეყნის ნაკრების თავკაცს ალაღად გაუზიარა თავისი აზრი. შემდეგ ბევრმა სცადა მისთვის ეს აზრი შეეცვლევინებინა. გარი მაჭავარიანმა და სხვებმაც ურჩიეს: დიახ, ევტუშენკო ცუდი კაცია, მაგრამ შენ ძალიან საჭირო მოთამაშე ხარ ნაკრებისთვისო. მოკლედ, დაითანხმეს.


საკავშირო ნაკრების პირველივე შეკრებაზე დიდი თავყრილობა მოაწყვეს. სიტყვით გამოვიდა ბევრი მოთამაშე და ანპილოგოვსაც დაუტოვეს სათქმელი. ამხანაგებმა მოუწოდეს, რომ ძველი წყენა დაევიწყებინა, რადგან წინ მსოფლიო ჩემპიონატი ელოდათ გერმანიაში და სთხოვეს ეთამაშა — ძალიან გვჭირდებიო. ანპილოგოვი ისევ დაბრუნდა საკავშირო ნაკრებში...

მანამდე, როცა ცხრა თვის მანძილზე ქვეყნის მთავარ გუნდს არ ეკარებოდა, „ბურევესტნიკის“ ლიდერმა ევტუშენკოს თბილისში პირდაპირ განკითხვის დღე მოუწყო...

ალექსანდრე ანპილოგოვი: „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ჩემი გუნდის შემაღვენილობაში საბჭოთა კავშირის ნაკრებს ვეთამაშებოდი. პირველ ტაიმში, ზუსტად არ მახსოვს, 14 თუ 15 ბურთი გავიტანე, იქნებ უფრო მეტიც, მაგრამ მაშინ კარგად ვხედავდი, როგორ გამწარებით დარბოდა ანატოლი ევტუშენკო სათადარიგოთა სკამის ერთი ბოლოდან მეორემდე, მერე მსაჯების მაგიდასთან მიიჭრებოდა და „ბურევესტნიკის“ მწვრთნელებს მოუწოდებდა, — გაიყვანეთ ანპილოგოვი მოედნიდან, თორემ შეიძლება წავაგოთო! მართლაც საარაკო ამბავი ხდებოდა — მრისხანე საბჭოთა ნაკრები ქართულ კლუბთან მარცხდებოდა! ევტუშენკოს ჩვენმა მწვრთნელებმა უთხრეს, რომ სპორტი სპორტია და ანპილოგოვი დამნაშავე არ იქნება, თუ სსრ კავშირის ნაკრები წააგებსო. მაშინ, შესვენებაზე, საქართველოს ხელბურთის სახელმწიფო მწვრთნელს ვალერი მურადოვს დაუფარავად განუცხადეს: „თუ საბჭოთა ნაკრები წააგებს, ყველაფერს დავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენმა „ბურევესტნიკმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში რაც შეიძლება დაბალი ადგილი დაიკავოს!“ და კიდევ ერთხელ მოუწოდეს მურადოვსაც და სხვა მასპინძლებსაც — ანპილოგოვი მოედნიდან გაიყვანეთო!

ეს ვაჭრობა რომ დაიწყო, ჩვენს მწვრთნელებს ვუთხარი, მოედანზე აღარ გავალ-მეთქი. ჩემთვის მთავარი იყო დამემტკიცებინა, რომ თბილისის

„ბურვესტნიკში“ თამაშის ბოლო წელიწადს დაფიქრდი შემდგომ ცხოვრებაზე — სად, რომელ სფეროში შემეძლო საკუთარი თავი გამომეყენებინა. დიდი მადლობა უნდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც დამეხმარნენ ინჟინრის დიპლომის მიღებაში. მხედველობაში მაქვს ნამდვილი დიპლომი და არა მუყაოსყდიანი მონშობა უმაღლესი განათლების შესახებ. ჩემთვის დამატებით ატარებდნენ ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ცალკე მასწავლიდნენ...“



„ბურვეესტნიკს“ შეეძლო დაემარცხებინა ისეთი ძლიერი გუნდი, როგორც საკავშირო ნაკრები იყო. მაშინ ევტუშენკოს ჩვენი უფრო ეშინოდა, ვიდრე, ვთქვათ, რუმინეთის ნაკრების ან სხვების...“

ალექსანდრე ანპილოგოვის ბოლო და გადამწყვეტი საუბარი ანატოლი ევტუშენკოსთან მოგვიანებით გაიმართა, როცა „დასჯილ“ ბურვეესტნიკელს მოსკოველმა ხელმძღვანელობამ მისი მიღწევების ხელყოფა გადაუწყვიტა. საქმე ის იყო, რომ საშამ მიატოვა სანვრთნელი შეკრება სოხუმში – იგი უკვე მთავრდებოდა – და შინაურების მოსანახულებლად თბილისში დაბრუნდა. მალე თბილისის ოპერის თეატრში დიდი პარტიულ-სპორტული შეკრება გაიმართა. ედუარდ შევარდნაძეც იქ იყო. ანპილოგოვი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, ცხადია, ამ თავყრილობას ესწრებოდა. შესვენებაზე გამოვიდა ჯანო ბაგრატიონი და თავის ყოფილ შეგირდს უთხრა, რომ საკავშირო სპორტკომიტეტიდან მიიღეს წერილი, რომლის მიხედვით მას ყველა ტიტულს, ყველა ჯილდოს ართმევდნენ და დამატებით ორწლიან დისკვალიფიკაციასაც უმზადებდნენ. ეს ამბავი ედუარდ შევარდნაძემაც გაიგო, ცნობილ ხელბურთელს დაუძახა და ჰკითხა, მართლიაო? როცა დასტური მიიღო, ანპილოგოვი გაამხნევა: პავლოვს (საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, — ავტ.) დაუურეკავ, ჩემი სახელით ის ბრეჟნევეს ეტყვის და საქმე მოგვარდება, ან მე თვითონ მივმართავ ბრეჟნევესო.

ანპილოგოვმა ჯანო ბაგრატიონს მოსკოვის ბილეთი სთხოვა, ჩავალ ნაკრებში და მე თვითონ მივხედავ ყველაფერსო. მონინოში ევტუშენკოს გუნდს სანვრთნელი შეკრების ბოლოს მიუსწრო. ანპილოგოვი რომ დაინახა, უფროს მწვრთნელს ფერი ეცვალა. სასწრაფოდ სცადა კარის ჩაკეტვა, მაგრამ გაცეცხლებულმა საშამ ფეხის ჩადგმა მოასწრო... მერე შეშინებული მწვრთნელი დაამშვიდა — არ მოგკლავ, ცალკე გავიდე და დავილაპარაკოთო.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „ყველაფერი წვრილად ჩამოვუთვალე, რაშიც არ იყო მართალი. ისიც ვუთხარი, რომ ჩემი ამბავი ედუარდ შევარდნაძის ყურამდე მივიდა, რომ მან ყველაფერი იცის, აგრეთვე ისიც, როგორ შემაგინა საერთო კრებაზე. ვუთხარი ყველაფერი, რასაც ედუარდ შევარდნაძე აპირებდა ჩემს დასაცავად. თავზე ნაცარი წაიყარა — რაშიც დამნაშავე ვიყავი შენს წინაშე, ყველაფერზე ბოდიშს გიხდი, ამ მდგომარეობას აუცილებლად გამოვასწორებო. კარგი-მეთქი, — ვუთხარი, — მაშინ დამიბრუნეთ

ჩემი რეგალიები, მაგრამ თქვენთან, საკავშირო ნაკრებში აღარ ვითამაშებ-მეთქი და ვთხოვე ჩემზე ლაპარაკის დროს ცოტა ენა დაემოკლებინა. არ მინდა თქვენი ნაკრები, მხოლოდ თბილისის „ბურევესტნიკში“ თამაშის უფლება მომეცით, — ვუთხარი ბოლოს.

გამოვიჯახუნე საბჭოთა კავშირის ნაკრების კარი და თბილისში დავბრუნდი.

„ბურევესტნიკში“ თამაშის ბოლო წელიწადს დავფიქრდი შემდგომ ცხოვრებაზე — სად, რომელ სფეროში შემეძლო საკუთარი თავი გამომეყენებინა. დიდი მადლობა უნდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც დამეხმარნენ ინჟინრის დიპლომის მიღებაში. მხედველობაში მაქვს ნამდვილი დიპლომი და არა მუყაოსყდიანი მონიშნა უმაღლესი განათლების შესახებ. ჩემთვის დამატებით ატარებდნენ ლაბორატორიულ მეცადინეობებს, ცალკე მასწავლებდნენ... მადლობა ღმერთს, დიდი შრომის ხარჯზე, მაგრამ მაინც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე. პროფესორ-მასწავლებლებს ალბათ ვუყვარდი და პატივს მცემდნენ. სხვა შემთხვევაში ასე არ გაინვალებდნენ თავს. მიმაჩნია, რომ ვალში ვარ მათ წინაშე. მათ განმიმტკიცეს საკუთარი თავის რწმენა, რომ ცხოვრებაში მარტო სპორტსმენად ყოფნა კი არ შემეძლო, არამედ სხვა საქმეც შეიძლება მეკეთებინა. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ჯანო ბაგრატიონს და გეპეის მაშინდელ პრორექტორს ოთარ წეროძეს.

მწვრთნელობაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ამისთვის გამოცდილება უნდა მექონოდა, რაღაც პერიოდი უნდა გასულიყო — ასე ოთხი-ხუთი წელიწადი აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ — რომ მწვრთნელად ჩამოვყალიბებულიყავი. შეიძლება ასეც გამოვიდა, როცა სამწვრთნელო მუშაობას დავუბრუნდი... მე სპორტის აქტიურ უბანზე ვიყავი, ყოველდღე რვა საათი მოეღბნე ყოფნა მართლაც ძალიან ძნელია. ყველა სპორტსმენს გამოუცდია ასეთი რამ. ინჟინრადაც შემეძლო მუშაობა, მაგრამ ეს, ასე თუ ისე, კაბინეტის სამუშაო (ზემოთ ვთქვით, ანჰილოგოვი სპეციალობით ქიმიკოსია, — ავტ.). უფრო საინტერესო ჩანდა სამუშაო ობეხეესში ან, ბოლოს და ბოლოს, მილიციაში...“

როგორც ალექსანდრე ანჰილოგოვი რუსული გაზეთის, „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტს ინტერვიუში უთხრა, მაშინ, როცა ობეხეესში (კო-

მუნიციპლების დროს სახალხო ქონების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია) სტაჟირება გაიარა და თანამდებობრივი პერსპექტივა გამოჩნდა, სპორტსმენებს ამ ორგანიზაციაში მუშაობა აუკრძალეს. პარტიულმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ მათ შეიძლება ხალხში თავისი კეთილი სახელი შეებლალათ (ამ ორგანიზაციაში მუშაობა მაშინ პირდაპირ კორუფციას უკავშირდებოდა). ანპილოგოვი თვით ედუარდ შევარდნაძესთან მივიდა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მაშ, სად? — იკითხა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. „ყველაზე მძიმე სამუშაო უბანზე — ქურდებთან და ქურდულ ტრადიციებთან საბძოლველად,“ — უპასუხა ცეკას პირველმა მდივანმა. „მოკლედ, ექვსი წელი ვიმუშავე, აქედან სამ წელიწადს ავტომატით ხელში მეძინა“, — უთხრა ანპილოგოვმა რუს ჟურნალისტს.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „მე მართლაც განსაკუთრებულ უბანზე გამამნესეს: ორგანიზებულ დანაშაულს და ქურდულ ტრადიციებს უნდა დავპირისპირებოდი. სულ დაბლა დავეშვი — საპატიმროების კურირება მევალებოდა. კანონიერ ქურდებთან ბრძოლას ცოდნა სჭირდებოდა. ამის აუცილებლობას თვითონაც კარგად ვგრძნობდი. ძალიან დამეხმარნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე და ჩემი უფროსი კოლეგები. მილიციის უმაღლეს სკოლაში დავინწყე სწავლა, სათანადო განათლება მივიღე და მერე მთელი ჩემი ენერგია სამუშაოს მიჰქონდა. ეს რალაც სპორტით გატაცებასავით იყო.“

მაშინდელი დრო გეხსომებათ: ხანდახან მილიციას მისთვის ცოტა უჩვეულო საქმესაც ავალებდნენ — მიტინგის დაშლას და ასე შემდეგ. ამაზე მაშინვე, პირველივე დამახედაზე უარი განვაცხადე — მე ასეთ სამუშაოს ვერ შევასრულებ, ჩემს ხალხს ვერ დავუპირისპირებები-მეთქი. ამ საკითხში ჩემი აზრიც ვუთხარი: ეს უშიშროების საქმეა. თუ რაიმე ხიფათია, მან უნდა იზრუნოს, მაგრამ ჯობს ხალხს დაელაპარაკოთ და ყველაფერი განუმარტოთ-მეთქი. მაღლობა ღმერთს, ამ წნეხს ბოლომდე გაფუძელი...“

ალექსანდრე ანპილოგოვმა „სპორტ-ექსპრესის“ წარმომადგენელს ერთი საინტერესო ეპიზოდიც უამბო თავისი „ძველი“ ცხოვრებიდან: შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე აღარ მუშაობდა, როცა მოსკოვში, „შერემეტიევოს“ აეროპორტში გადააწყდა ერთ ცნობილ ქურდს, რომელსაც თავის დროზე დასაჭერად დასდევდა. „ავტორიტეტი“ თურმე საფრანგეთში მიბ-



ალექსანდრე და ნატაშა

რძანდებოდა სამკურნალოდ. როგორც ჩანს, მან იფიქრა, რომ ადრინდელი თვალთვალის გრძელდებოდა და მისმა ამაღამ „მდევარს“ იარაღი მიუშვირა. შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი თავის ბიძაშვილთან ერთად — სწორედ იმასთან, ვინც მას პლაჟზე ტანჯავდა — კაფეში შეიყვანეს საქმის გასარჩევად. როცა ყველაფერს ნათელი მოეფინა, კაფეში „ავტორიტეტიც“ გამოჩნდა და დაზავება კონიაკით აღნიშნეს. შემდეგ ყოფილმა დევნილმა ყოფილ მდევარს ჰკითხა, თუ რით იყო დაკავებული იმ დროს. „გერმანიაში მივფრინავ, ახლა იქ ვცხოვრობ და ვმუშაობ,“ — მიიღო პასუხად.

ალექსანდრე ანპილოგოვი: „შემთხვევით მსს-ს საქმეზე მოსკოვში, უფროსთან — ალექსანდრე გუროვთან ჩამოვედი. მოულოდნელად გერდ ბეცეკს შევხვდი, გერმანელ მენეჯერს, რომელიც ადრე საბჭოთა ნაკრებთან თანამშრომლობდა. რესტორანში დავპატიჟე, აქეთური-იქითური და ბეცეკი მეუბნება, რომ საშა ტუჩკინს (ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, – ავტ.) მენისკის ოპერაცია გაუკეთეს გერმანიაში. ბეცეკს ვუთხარი: „ტუჩკინი ჩემზე ათი წლით ახალგაზრდაა, მენისკით მე მასზე უარესად ვიტანჯები, როგორმე შენ უნდა დამეხმარო“. გერმანელმა იქვე გამომინერა მიწვევა თავის ქვეყანაში, ოღონდ გამაფრთხილა, რომ მენისკის ოპერაცია 4,5 ათასი დოლარი ეღირებოდა. სად მქონდა ამდენი ფული, მაგრამ ჩემი ძველი საქმიანობის, ანუ სპორტის წყალობით უამრავი ნაცნობი მყავდა. სა-



კუთარი თავის დახმარების ფონდი გავხსენი. ნებისმიერ ადამიანს შეეძლო თანხის ჩარიცხვა. რამდენიმე ქარხნის დირექტორსაც შევეხმიანე. უარი არავის უთქვამს — ეს ხომ საქართველოა! უცებ ჩვენი ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნიკო ცხაკაიამ დამირეკა: „არა გრცხვენია, ყველას ურეკავ, მე კი არაფერი მითხარი. მოდი ჩემთან, ნაილე შენი ფული და ნაიდი ოპერაციის გასაკეთებლად“. მაგრამ შევცდი — გერმანიაში ცოლიც წავიყვანე. ნატაშამ პირველად ნახა უცხოეთი, ყველაფერი განკრიალებულია, დალაგებული, გალაქული... გერდმა შემომთავაზა, მოდი, აქ რომელიმე კლუბს მოგიძებნო. მთელი ექვსი წელიწადი იყო, ხელბურთი არ მეთამაშა და უარი ვუთხარი. ცოლი დამემუქრა — კიდევ ერთხელ იტყვი უარს და ფანჯრიდან ვისკუპებო. ხუმრობით მითხრა, რასაკვირველია, მაგრამ შემდეგ თვითონაც დავფიქრდი: სწორედ მაშინ საბჭოთა კავშირი იშლებოდა და ჩვენ გერმანიაში დავრჩით...

ახლა დამოუკიდებელ საქმეს ვინყებ, საკუთარ ფირმას ვხსნი. ახლა ჩემთვის მთავარია, შვილი ფეხზე დავაყენო. ის ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობს, შემდეგ უნივერსიტეტში ჩააბარებს (პეტრე მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, — ავტ.). გერმანულის გარდა, ინგლისურიც იცის, ფრანგულიც და რუსულიც. ხელბურთსაც თამაშობდა, სხვადასხვა კლუბში ეპატიჟებოდნენ. 18 წლისაა და უკვე 198 სანტიმეტრია...”

*ალექსანდრე ანაილოგოვი:
„რა მაკავშირებს საქართველოსთან? როგორი ქართველიც ვიყავი, როგორი თბილისელიც ვიყავი, სულში ყოველთვის ასეთად დავგრები — ქართველად! ეს ჩემი აქცენტითაც შეგიძლიათ გამოიცნოთ, იმ ნოსტალგიითაც, რომელსაც ახლა განვიცდი. ჩემთვის ყველაფერი საუკეთესო საქართველოშია. იქ არის მამაჩემის საფლავი. ჩემი ადგილიც მამაჩემის გვერდითაა. იქ უნდა დავბრუნდე. როდის მოხდება ეს — ჯერ არ ვიცი. მე ქართველად ვრჩები და ძალიან მიყვარხართ. დიდი მადლობა ყველას...“*

გერმანიაში გამგზავრებამდე ალექსანდრე ანპილოგოვი უკრაინისა და რუსეთის ხელბურთელთა გუნდების მენეჯერად მუშაობდა. მერე საბერძნეთის ქალთა ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელად მიიწვიეს. როცა იქ ჩავიდა, ეს გუნდი ევროპულ რეიტინგში 28-ე თუ 29-ე ადგილზე იყო. როცა იქ მუშაობას ამთავრებდა, საბერძნეთის ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატში. მანამდე მწვრთნელობა ადგილობრივ გერმანულ გუნდში სცადა – ერთხანს თვითონაც თამაშობდა, შემდეგ კი მოთამაშემწვრთნელი გახდა.

თუ ალექსანდრე ანპილოგოვმა სპორტსმენად ყოფნისას ყველაფერს მიაღწია, მისი გზა სამწვრთნელო სარბიელზე გაცილებით ხანმოკლე აღმოჩნდა და დასახული მიზნები განუხორციელებელი დარჩა. ყველაფერი ჯანმრთელობის ბრალი იყო: ერთ დროს ძალიან ამტან ათლეტს სამი ინფარქტი, რომ იტყვიან, თურმე ფეხზე გადაუტანია. გერმანელები ამ საქმის დიდი სპეციალისტები არიან: ცოდვა გამხელილი ჯობს და, ეს დიდი ცოდნა მათ ჯერ კიდევ საკონცენტრაციო ბანაკების პრაქტიკიდან მოსდევთ. მათ გადაჭრით განუცხადეს მწვრთნელობის გზაზე დამდგარ ჩემპიონს, რომ სხვაგან ეცადა ბედი. ალექსანდრე ანპილოგოვიც რომელიღაც დაცვის სამსახურში გადავიდა...

ჯანო ბაგრატიონი: „ის ბეცეკი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში. გვეხვეწებოდა, ანპილოგოვი გერმანიაში გამატანეთო. აბა, მაშინ თანხმობას როგორ ვეტყოდი, ან საერთოდ, ეს საქმე როგორ მოხერხდებოდა. ბოლოს მაინც წაიყვანა... იქაურ სპორტის მოყვარულებში საშა ძალიან პოპულარულია, რადგან თავის დროზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა იქ მსოფლიო თასი მოიგო, გადამწყვეტი ბურთი კი სწორედ მან გაიტანა...“

ავად რომ გავხდები, ფაქსით გამომიგზავნა საოცრად თბილი წერილი. ვერ წარმომიდგენია, რომ თქვენ ასეთ მდგომარეობაში ხართო, — მწერდა...“

ზაზა დოლიძე: „შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ მუშაობდა, თბილისში მიტინგები დაიწყო. მათი დაშლა მილიციას დაავალეს. დამიძახა და მითხრა: „ეს ჩემი საქმე არ არის, — და მუშტი დაარტყა მაგიდას, — მე რუსი ვარ, მაგრამ აქ ვარ გაზრდილი და ღირსება ჩემთვის ყველაფერს ნიშნავსო.“ ორ თვეში დაიხურა ქუდი და გერმანიაში წავიდა. ვერც ერთი პატიმარი ვერ

იტყვის, რომ ციხეში მუშაობის დროს საშა მათზე უხემ ზემოქმედებას ახდენდა. პირიქით, პატიმრებს ეხმარებოდა...

მუდამ ცდილობდა გერმანიიდან დაგვხმარებოდა. მისი წყალობით ჩვენი გუნდი ორჯერ მიიწვიეს ამ ქვეყანაში საერთაშორისო ტურნირებზე. მწვრთნელ როლანდ ბერიძეს ისლანდიაში მოუხერხა სამუშაო, მოთამაშე სერგო დათუკიშვილის დახმარება რომ ვთხოვეთ, ოთხი თვე გერმანიაში თვითონ ავარჯიშებდა დარტყმაში. მიუნხენთან ახლოს ცხოვრობს, მცირე ბიზნესი აქვს და ადგილობრივ ხელბურთელთა გუნდსაც ეხმარება თავისი გამოცდილებით. კარგი მეუღლე ჰყავს, ყოფილი ხელბურთელი, რომელიც რუსეთში თამაშობდა და შემდეგ სწავლის გამო ჩამოშორდა სპორტს. ძალიან თბილი და მეგობრული ოჯახი აქვთ.

ჯანზე, ღვთის წყალობით, კარგადაა. გერმანიაშიც ეზოიანი სახლი იყიდა, მაგრამ ამბობს, ჩემი ბოლო მაინც საქართველოაო. აფხაზეთისა და ცხინვალის ამბებს ახლაც ძალიან განიცდის, მით უმეტეს, რომ იქ, ახლომახლო ქალაქებში, საკმაოდ ბევრია აფხაზეთიდან წასული.

მუდამ თბილად იხსენებს თავის მწვრთნელებს: ჯანოს, გარის, იმედოს — ამ სამ, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ ადამიანს. მათ ისეთი დიდი ამაგი აქვთ ჩემზე, ცხოვრებაში ვერ გადავიხდითო...”

ალექსანდრე ანპილოგოვი: „რა მაკავშირებს საქართველოსთან? როგორი ქართველიც ვიყავი, როგორი თბილისელიც ვიყავი, სულში ყოველთვის ასეთად დავრჩები — ქართველად! ეს ჩემი აქცენტიცაა შეგიძლიათ გამოიცნოთ, იმ ნოსტალგიითაც, რომელსაც ახლა განვიცდი. ჩემთვის ყველაფერი საუკეთესო საქართველოშია. იქ არის მამაჩემის საფლავი. ჩემი ადგილიც მამაჩემის გვერდითაა. იქ უნდა დავბრუნდე. როდის მოხდება ეს — ჯერ არ ვიცი. მე ქართველად ვრჩები და ძალიან მიყვარხართ. დიდი მადლობა ყველას...”

ალექსანდრე ანაილოგოვი

დაიბადა 1954 წლის 18 იანვარს თბილისში. ხელბურთელი. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკში“ (1970-85) და გერმანიის „ლანდცხუტში“ (1987-92). მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1976 — ითამაშა 6 მატჩი, გაიტანა 13 გოლი), მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1980 — ითამაშა 6 მატჩი, გაიტანა 29 გოლი), მსოფლიოს ჩემპიონი (1982), მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), სსრკ თასის მფლობელი (1978). 1974-84 წლებში სსრკ ნაკრებში ითამაშა 217 მატჩი (572 გოლი). იყო საბერძნეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელი (2000-01). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.



ALEXANDER ANPILOGOV

Handball player, was born on January 18, 1954 in Tbilisi. He played for Tbilisi club "Burevestnik"(1970-1985) and for the German club "Landskhut," (1987-1992). Anpilogov is a champion of XXI Olympic Games (Montreal, 1976) where he played 6 matches and scored 13 goals. He was the silver medalist of the Olympic Games in Moscow in 1980 (scored 29 goals in 6 matches), world champion (1982) and silver medalist of the world championship in 1978. Anpilogov was the USSR cup winner (1978). During 1974-1984 he played 217 matches for the USSR national combined team and scored 572 goals. He was the coach of the Greek women's national team (2000-2001). Anpilogov was the USSR Honored Master of Sports. He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor.